# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 14 მაისი 1996 № 37 (262) ფასი 40 თეთრი




## ყველა უფლება ქინქლაძეზე „სიტის“ ეკუთვნის

### ამბობს მერაბ ჟორდანია

„მანჩესტერ სიტის“ პრემიერლიგიდან გავარდნამ ქართველ გულშემატკივრებს საფიქრალი გაუჩინა — როგორ იქნება ქინქლაძის საქმე, „სიტიში“ დარჩება თუ სხვა გუნდში გადავა...

თავად ქინქლაძის სიტყვებს თუ ვერწმუნებით, დაბალ ლიგაში თამაშს არაფრის დიდებით არ აპირებს, არადა, „სიტის“ დირექტორი ფრენსის ლი სხვა ჭკუაზეა — ქინქლაძეს არ გავყიდით და ჩვენთან თუ არ დარჩა, კლუბს მეც მივატოვებო. მოგახსენებთ, ჩვენებურის კონტრაქტი სამწლიანია, უფრო სწორად, 1 + 2 სისტემით არის შედგენილი. ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, აქვს თუ არა ქინქლაძეს სხვა კლუბში გადასვლის უფლება და სწორედ ეს ვკითხეთ „დინამოს“ პრეზიდენტს მერაბ ჟორდანიას. პასუხი ასეთი იყო:

— ყველა უფლება ქინქლაძეზე „სიტის“ ეკუთვნის. სავსებით შესაძლოა მისი სხვა კლუბში გაშვება-გაყიდვა არც ისურვონ, მაგრამ, რა თქმა უნდა, საქმეში მეც ჩავერევი. ცხადია, მომიწევს ინგლისში ჩასვლა, რათა გიოსთვის სასურველი გუნდი აუცილებლად მოიძებნოს. საქმეს ისიც გააიოლებს, რომ „სიტის“ ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა მაქვს. იგივეს თქმა შემიძლია ყაველაშვილზეც.

UEFA INTERTOTO CUP

## ორი შინ, ორიც — სტუმრად

ადრე გაუწყეთ, რომ „უეფა ინტერტოტოს“ წლევანდელი გათამაშების მონაწილე ქართული გუნდი, რომელიც ჩვენი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ გაირკვევა, XII ჯგუფში საფრანგეთის მეოთხე, იუგოსლავიის პირველ, რუმინეთის მეორე და ფინეთის ერთადერთ წარმომადგენლებთან ერთად მოხვდა. გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეს-სამსახურმა გვაცნობა, რომ ჩვენი გუნდის განრიგი ასეთია: ჯერ შინ ვეთამაშებით იუგოსლავიის გუნდს, მერე ფინეთისას გასვლაზე, მესამე ტურში ფრანგებს ვმასპინძლობთ და ჯგუფურ ტურნირს რუმინეთში სტუმრობით ვამთავრებთ.

ჯერჯერობით ძნელი დასადგენია, კონკრეტულად რომელი გუნდები იქნებიან ჩვენი, ასევე ჯერჯერობით უცნობი გუნდის მეტოქეები. უეფაში განაცხადის შეტანის საბოლოო ვადა 31 მაისია, „ინტერტოტოს“ 1996 წლის გათამაშების ზუსტი განრიგი კი 3 ივნისს გამოქვეყნდება.

რაც შეეხება საფრანგეთის მეოთხე წარმომადგენელს ამ თასის გათამაშებაში, ის ჩემპიონატში მე-9 ადგილზე გასული გუნდი იქნება. საფრანგეთში ერთი ტურიღაა გასამართი და ჩვენი გუნდის მეტოქეც შაბათს გაირკვევა. ის ამ ოთხიდან — „ნანტი“, „რენი, „გინგამი“, „სტრასბური“ — ერთი იქნება.

# 15 წლის შემდეგ...

## 1981 წლის 13 მაისს ვიტალი დარასელიას გოლმა თბილისის „დინამოს“ თასების თასი მოუტანა. 1996 წლის 13 მაისს ვიტალი დარასელია უმცროსმა პირველი მატჩი ითამაშა ჩემპიონატის პირველ ჯგუფში

### საქართველოს ჩემპიონატი

### XXVII ტური

### ბათუმი 2:0 მარგვეთი

ორივე გუნდი ამ დღეს შესუსტებული შემადგენლობით გამოვიდა მინდორზე: „მარგვეთს“ აკლდა მეკარე გვენცაძე, მცველი გაბრიჭიძე და ნახევარმცველები კაკუბავა და კიკნაძე. სათადარიგო მეკარის მალაყმაძის იმედად გამოვიდნენ ბათუმელებიც. სტუმრებს ამ მატჩში ტულუში, მაჭუტაძე და უჯმაჯურიძეც აკლდათ.

შეხვედრა ნელ ტემპში, განსაკუთრებული ჟინის გარეშე გაიმართა. ანგარიში პირველ ტაიმშივე გახსნა ჩემპიონატის ბომბარდირმა ზვიად ენდელაძემ, რომელმაც მეორე ტაიმში თავისი ბურთების ანგარიში 35-მდე გაზარდა.

ამ თამაშმა განსაკუთრებული ინტერესი მეორე ტაიმის შუაწელში შეიძინა, როცა „ბათუმის“ შემადგენლობაში, მინდორზე თხუთმეტიწლისწინანდელი მატჩის გმირის ვიტალი დარასელიას ვაჟი გამოვიდა. უმცროსმა ვიტალიმ თავისი დებიუტი მშვენიერი თამაშით აღნიშნა და თუ ორი სახიფათო დარტყმიდან ერთი მაინც ვერ გაიტანა, ამაში ლომის წილი ამ ეპიზოდებში კარგად მოთამაშე მეკარე ნიქაბერიძემ დაიდო.

### შევარდენი 1:3 კოლხეთი

შევარდენი: აბუსერიძე, ქველაძე (ალადაშვილი 46), მელქაძე, კვიტატიანი, სვანიძე, ნიტაეშვილი, კანკავა, ჯიქია, გოდერძიშვილი, მოსულიშვილი (ქანთარია 46), მინდიაშვილი

კოლხეთი: გოგუა, ქუნთელია, კაკაჩია, ხუჯაძე, ინიაშვილი, ლალანიძე, გიგატაძე, ამბიძე, გიორგაძე, გაბისონია, ბულუხია (თიბილაშვილი 46)

0:1 გაბისონია (48) 1:1 გოდერძიშვილი (68) 1:2 გაბისონია (70) 1:3 ამბიძე (75)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

თამაშამდე მეტოქეებს პრობლემებიც სხვადასხვა ჰქონდათ და ამოცანებიც. სტუმრები, მოგეხსენებათ, საპრიზო ადგილისთვის იბრძვიან და უეჭველი სამი ქულისთვის გამოვიდნენ მოედანზე. თუმცაღა, მათ მდგომარეობას ის ურთულებდა, რომ ოთხი ძირითადელი აკლდათ — გვასალია, მიქაბერიძე, არზიანი და კიკლიაშვილი დაშავებულნი იყვნენ. თავის მხრივ, მასპინძლებმაც მოისაკლისეს ორგაფრთხილებიანი ქოიავა და ტრავმირებული გოგოლაძე, მაგრამ მარტო ამას რომ შეეწუხებინა, რა უჭირდათ: უფულობამ გუნდი დაქსაქსა, თითო-ოროლა ფეხბურთელი თულა ჯარჯიშობს, მოკლედ, აშკარა იყო, ფოთელებს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდნენ.



გაბისონიამ მაინც აიწყვიტა

მასპინძლებმა პირველი ტაიმი მაინც იომეს და გოდერძიშვილს გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ მისი ახლოდან დარტყმული სტუმართა მეკარემ მოიგერია. აი, ეს იყო პირველი ნახევრის ერთადერთი სახიფათო მომენტი. დანარჩენი დრო მეტოქეებმა უმთავრესად ცენტრში გაატარეს და მეკარეებიც უსაქმოდ იდგნენ.

მეორე ტაიმში მშიერ-მწყურვალი და მოუმზადებელი „შევარდენი“ დადგა, ფოთელმა გაბისონიამ კი აიშვა. მან ჯერ თიბილაშვილის მიერ კუთხურიდან ჩამოწოდებულ ბურთს შეურჩია მასპინძელთაგან დაუცველი ადგილი და თავით გაიტანა, ხოლო შემდეგ „შევარდენის“ საჯარიმოში შექმნილი არეულობით ისარგებლა და მეკარის სიახლოვეს მოპოვებული ბურთი ცაციათი აბუსერიძისგან მარჯვენა კუთხეში გაახვია. ამ ორ გოლს შორის და მატჩში ერთადერთხელ „შევარდენმაც“ ივარგა — ფოთელებს მასპინძელთაგან ყველაზე აქტიური, გოდერძიშვილი გაეპარათ და მანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა. თამაშს წერტილი ამბიძემ დაუსვა. ბახვამ მარჯვენა ფრთაზე მიიღო ბურთი, გზადაგზა ორი მცველი ჩამოიცილა, ოდნავ ცენტრისკენ შეიწია და აბუსერიძეს ტექნიკური დარტყმით ახლო კუთხეში გაუტანა. მალე მსაჯმა თამაშიც დაამთავრა და ფოთელებიც გაახარა.

თამაშის შემდეგ სტუმართა გუნდის თავკაცი სოსო ფილია შედეგით კმაყოფილი გახლდათ — მეტოქეს უკეთესი ფიზიკური მომზადებით და საგოლე მომენტების გამოყენების უნარით ვჯობეთო, ოღონდ იმასაც წუხდა, ახლა დგება გადამწყვეტი თამაშების დრო, ჩვენ საპრიზო ადგილებისთვის ვიბრძვით, ტრავმირებულნი კი მოგვიმრავლდნენო.

ამ გამარჯვებამ „კოლხეთი“ დასახულ მიზანს მიუახლოვა და თუ დარჩენილ სამ შეხვედრაშიც ივარგეს, ალბათ მესამე ადგილსაც მოიპოვებენ.

### დურუჯი-ეგრისი

(ეგრისი არ გამოცხადდა)

**კახეთი 1:5 დინამო**

**დილა 1:0 ოდიში**

**მეტალურგი 4:3 ტორპედო**

**ივერია 2:5 სამტრედია**

**გურია 0:1 სიონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 26 | 21 | 4 | 1 | 85:14 | 67 |
| მეტალურგი | 27 | 20 | 0 | 7 | 63:32 | 60 |
| კოლხეთი | 27 | 19 | 2 | 6 | 61:38 | 59 |
| მარგვეთი | 27 | 19 | 2 | 6 | 75:31 | 59 |
| სამტრედია | 27 | 17 | 8 | 2 | 81:34 | 59 |
| ბათუმი | 27 | 14 | 6 | 7 | 56:27 | 48 |
| ტორპედო | 27 | 14 | 6 | 7 | 62:42 | 48 |
| დილა | 27 | 11 | 4 | 12 | 48:50 | 37 |
| შევარდენი | 27 | 9 | 2 | 16 | 38:51 | 29 |
| ივერია | 26 | 9 | 2 | 15 | 31:49 | 29 |
| სიონი | 27 | 9 | 0 | 18 | 31:54 | 27 |
| გურია | 27 | 9 | 0 | 18 | 34:62 | 27 |
| კახეთი | 27 | 8 | 3 | 16 | 28:57 | 27 |
| ოდიში | 27 | 8 | 2 | 17 | 38:59 | 26 |
| ეგრისი | 26 | 5 | 2 | 19 | 40:75 | 17 |
| დურუჯი | 26 | 0 | 1 | 25 | 16:112 | 1 |

## ზეგ ჰააგაში

ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი იწყება. ეს გახლავთ ბოლო შეჯიბრება ატლანტის ოლიმპიურ თამაშებამდე. მედლების მფლობელების გარდა, საბოლოოდ გაირკვევა იმ ძიუდოისტების ვინაობა, რომლებიც ოლიმპიადის ლიცენზიებს მიიღებენ. საქართველოს ნაკრები გუშინ ასეთი შემადგენლობით გაემგზავრა ჰოლანდიას:

მძიმე წონა — დავით ხახალეიშვილი

აბსოლუტური — ალექსი დავითაშვილი

95 კგ — მევლუდ ლობჟანიძე

86 კგ — გიორგი წმინდაშვილი

78 კგ — სოსო ლიპარტელიანი

71 კგ — ვლადიმერ დგებუაძე

65 კგ — გიორგი რევაზიშვილი

60 კგ — გიორგი ვაზაგაშვილი

**ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე აკრედიტებულია „სარბიელის“ კორესპონდენტი მერაბ რატიშვილი, რომლის რეპორტაჟებსაც მომდევნო ნომრებიდან გაეცნობით.**

# საქართველოს ჩემპიონატი

## XXVI ტური

### დურუჯი 3:5 გურია

დურუჯი: გ. სომხიშვილი, ვარადაშვილი (მ. სომხიშვილი 85), ყანჩაშვილი, ბოჭორიშვილი, ცინცაძე, ჩიხრაძე, ოსეფაშვილი (დავითაშვილი 44), კუპრაშვილი (კობიაშვილი 70), ქარენაშვილი, ყიზილაშვილი, წინწრიაშვილი

გურია: აბაშიძე, ღურწკაია, ცერცვაძე, კუკულაძე (ლორია 46), ყოლბაია (მარგიანი 46), ებრალიძე, ნარიაშვილი, განევი, ქიქავა, ბახტაძე, ჩიგოგიძე

1:0 ყიზილაშვილი (27), 1:1 ღურწკაია (30), 1:2 ღურწკაია (44), 2:2 ყიზილაშვილი (70), 3:2 ყანჩაშვილი (75), 3:3 ბახტაძე (80), 3:4 ბახტაძე (83), 3:5 ქიქავა (85)

გაფრთხილება: ჩიხრაძე, ყოლბაია

მსაჯი: მ. მალაღურაძე (თბილისი)

### სიონი 3:0 კახეთი

სიონი: სიდამონიძე, გაბრიჭიძე, ყიფშიძე, შაკიაშვილი, მეფარიშვილი, ბურდული (ვ. სამხარაძე 80), გოგოლაძე, ტორომშელიძე, მოსეშვილი, გ. სამხარაძე, მეტრეველი (ანდღულაძე 75)

კახეთი: ხაჩირაშვილი (ბეწუკელი 65), შონია (ტარულაშვილი 70), ათუაშვილი, წიკლაური, ნაკუდაიძე, მამისაშვილი, ლობჟანიძე, ქაძე (გოგიაშვილი 35), ნონიკაშვილი, ბაბულაიძე, ლევინიაშვილი

1:0 მეტრეველი (6), 2:0 სამხარაძე (32 პ), 3:0 ანდღულაძე (73)

გაფრთხილება: ლობჟანიძე, მეფარიშვილი

გაძევება: ათუაშვილი

მსაჯი: თ. მაჭარაძე (ხონი)

### კოლხეთი 3:1 მარგვეთი

კოლხეთი: გვასალია, მიქაბერიძე (თიბილაშვილი 84), კაკაჩია, ხუჯაძე, ინიაშვილი, ლალანიძე, კიკლიაშვილი (გიგატაძე 81), ამბიძე, გიორგაძე, გაბისონია, ქუნთელია

მარგვეთი: გვენცაძე, ლანჩავა (ჟვანია 75), გურიელიძე, გენაძე, ლონლაძე, მორგოშია (კიკნაძე 55), კაკუბავა, ქებაძე, წიკლაური, ჩხეტია, ენდელაძე

1:0 ინიაშვილი (25), 2:0 კიკლიაშვილი (32), 3:0 მიქაბერიძე (65), 3:1 ენდელაძე (68)

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

### ებრისი 2:6 ტორპედო

### ზუგდიდი 1:3 მეტალურგი

### სამტრედია 4:2 შევარდენი

### ბათუმი 2:0 დილა

გამოტოვებული მატჩი

### ტორპედო 4:2 ოდიში

26-ე ტურის გადადებული თამაში „დინამო" — „ივერია" 28 მაისს გაიმართება.



## ზოიძემ ჩემპიონატი დაამთავრა?

ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს" მეკარეს ირაკლი ზოიძეს, სულ ცოტა, ორი კვირით ან სულაც ჩემპიონატის ბოლომდე მოუწევს დასვენება. მიზეზს შეგახსენებთ: ირაკლი საბერძნეთში დაშავდა. მას ბერძნებთან თამაშამდეც, ბოლო ვარჯიშზე დაზიანებია მარჯვენა ფეხის თითი, მაგრამ ტკივილგამაყუჩებელი ნემსის გაკეთების შემდეგ სათამაშოდ მაინც გასულა. მატჩის 22-ე წუთზე კი ისედაც ტრავმირებულს მასპინძელი ცარტასი ისე დასჯახებია, რომ თამაშის გაგრძელების თავი აღარ ჰქონია და შეცვლა უთხოვია.

საბოლოო დიაგნოზი ექიმებს ჯერ არ დაუსვამთ, მაგრამ ეჭვობენ, ზოიძეს ნეკნი აქვს გაბზარულიო. იგი ამჟამად, არ ვარჯიშობს და არ არის გამორიცხული, ჩემპიონატის ჩამთავრებამ ჭანტურიას მოუწიოს, თუმცა ერთი მეკარით დარჩენა „დინამოს" მაინც არ ემუქრება: „დინამო 2"-დან შეუძლია ჩლაიძის ან ასლანიძის გადმოყვანა.



## პრეზიდენტი არ მიდის

არ წყდება კამათი და მითქმა-მოთქმა ზესტაფონში გამართული თასის განმეორებითი ნახევარფინალური თამაშის თაობაზე. ამ თამაშში ლონლაძის არმონაწილეობის ნამდვილი მიზეზი რომ გაირკვა და კუდი ვერარაფერს გამოაბეს, ინტრიგის მოყვარულები ამჯერად კლუბის პრეზიდენტს ვასილ ხაჭაპურიძეს გადასწვდნენ. ამბობენ, ხაჭაპურიძე პრეზიდენტობიდან გადადგომას და ფეხბურთიდან საერთოდ წასვლას აპირებსო. ესეც არ აკმარეს და ათასგვარი ბრალდებაც მიაკერეს. არადა, ხაჭაპურიძის წვლილი „მარგვეთის" აღზევებაში რომ უდაოა, ამაში მრავალი დაგვეთანხმება.

ყოველივე ამის თაობაზე კომენტარი თავად „მარგვეთის" პრეზიდენტს ვთხოვეთ:

— „მარგვეთის" სასიკეთოდ გაწეული დიდი გარჯა რომ წყალში იყრება და შენს მიმართ უსამართლო ბრალდებებს ისმენ, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი ასატანია. რას არ იტყვის ემოციებს აყოლილი ხალხი. მალე დამშვიდდებიან და მდგომარეობასაც რეალურად შეაფასებენ. ღმერთია მოწამე, რომ იმ დღეს გამარჯვებისათვის არაფერი დაგვიშურებია, მაგრამ, მოგეხსენებათ, ძალა ალმართს ხნავს: „ბათუმი" „მარგვეთზე" ძლიერი აღმოჩნდა.

**— თქვენზე ამბობენ, კლუბიდან და საერთოდ ფეხბურთიდან წასვლას აპირებსო. მართალია ეს ყოველივე?**

— ამაშიც ძალიან ცდებიან. მე უკვე დავსნეულდი ფეხბურთით და წასვლას არსად ვაპირებ.

**— მაშინაც კი, თუ „მარგვეთი" ევროთასებზე ვერ გავიდა?**

— ჯერ ერთი, ჩვენი ჩამოწერა ნაადრევია და ევროთასებზე გასასვლელად კიდევ ვიბრძოლებთ; მეორეც, გავალთ თუ არა ევროპაში, ამას მნიშვნელობა არა აქვს. სანამ ცოცხალი ვარ, „მარგვეთიც" იქნება და ითამაშებს. მოკლედ, კლუბის მიტოვებას არ ვაპირებ.

## შეკრება გერმანიაში

ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრების დარად, მომავალი საპასუხისმგებლო თამაშებისთვის 18-წლიანთა ნაკრებიც ემზადება. მთავარი მწვრთნელის ვახტანგ კოპალეიშვილის ხელმძღვანელობით გუნდმა სამი ამხანაგური შეხვედრა გამართა: „დინამო 2"-თან 0:1 წააგო, ამავე ანგარიშით დამარცხდა პოლიციელთა „აკადემიასთან", 8 მაისს კი ავლაბრის სტადიონზე კი მეორეჯგუფელ „ასკ"-ს 2:1 მოუგო.

— ამჟამად ოპტიმალური შემადგენლობის ძიებაში ვართ — გვითხრა ვახტანგ კოპალეიშვილმა — ამიტომ ოფიციალური შეჯიბრებების დაწყებამდე კიდევ ბევრ საკონტროლო მატჩებს გავმართავთ. 18 მაისისთვის დაგეგმილია შეხვედრა 16-წლიანთა ნაკრებთან, მერე 24 ან 25 მაისს ვითამაშებთ, ახლა შესაფერის სპარინგ-პარტნიორს ვეძებთ. 3 ივნისიდან გერმანიაში, კიოლნში ორკვირიან შეკრებას დავიწყებთ. შეკრებისათვის საჭირო თანხას ფეხბურთის ფედერაცია გაიღებს. გერმანიაში 18-20 მოთამაშე წავა, მაგრამ ისე არავინ გაიგოს, თითქოს ის შემადგენლობა იქნება ოპტიმალური. ნაკრების კარი ყველა ღირსეულისთვის ღიაა. ამჟამადაც ვერ მიგვყავს რამდენიმე კარგი ფეხბურთელი, ვთქვათ, ვიტალი დარასელია და გიორგი ფარქოსაძე. მათ ტრავმებმა შეუშალეს ხელი, მაგრამ ოქტომბრამდე დიდი დროა და თუ სასურველ დონეზე იქნებიან, ნაკრებში აუცილებლად მოხვდებიან. ერთი სიტყვით შანსი ყველას ეძლევა.

## თბილისელთა ფინალი ქუთაისში

ახლახან მოეწყო საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის კარლო ხურციძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელშიც 1984 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა 8 გუნდმა იასპარეზა. ტურნირის თაოსნებმა სტუმრები ოჯახებში დაინაწილეს და შეძლებისდაგვარად ნორმალური თამაშის პირობებიც შეუქმნეს.

ფინალში ორი თბილისური გუნდი „...ჩი დინამოელი" და „კოდაკო" გავიდა. დინამოელებმა (სკოლის დირექტორი ოთარ გეგეჭკორი, მწვრთნელი თენგიზ სულაქველიძე) დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში 1:0 აჯობეს მეტოქეს. ტურნირის საუკეთესო მოთამაშის და ბომბარდირისთვის დაწესებული პრიზებიც გამარჯვებული გუნდის წევრს გიგა თბილაშვილს ერგო, საუკეთესო ნახევარმცველადაც ასევე დინამოელი ირაკლი მელქაძე დაასახელეს.

## აღელვებული გურიელიძე დამშვიდდა და დარჩა

ამას წინათ გაუწყებდით, „მარგვეთმა" „ბათუმთან" თასის ნახევარფინალი რომ დათმო, ზესტაფონელთა ლიბერომ ზაზა გურიელიძემ ფეხბურთიდან წასვლა გადაწყვიტაო.

ეტყობა, აღელვებული ფეხბურთელი მერე და მერე დამშვიდდა, აწონ-დაწონა ვითარება და გუნდში დარჩა — ფოთში, „კოლხეთთან", 26-ე ტურის მატჩში გურიელიძემ ორივე ტაიმი ითამაშა.



## შელიას ეჩქარება

ჩვენი ეროვნული ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას" მცველმა მურთაზ შელიამ რომ კუნთი დაიჭიმა და ამის გამო საბერძნეთ-საქართველოს ამხანაგური თამაში გამოტოვა, უკვე გაუწყეთ. მურთაზმა რუსეთის ჩემპიონატის მორიგ ტურშიც დაისვენა, „ალანიამ" „ჩერნომორეცი" სტუმრად 2:1 რომ დაამარცხა. ორი დღის წინ შელია თბილისში, დილმის საწვრთნელ ბაზაზე ვნახეთ. ფეხბურთელმა გვითხრა, ნატკენი თითქმის მომიშუშდა და ვარჯიშს ორ დღეში განვაახლებო. რაც შეეხება თამაშს, მურთაზი ამას ამ კვირაშივე აპირებს და მოსკოვის „ლოკომოტივის" წინააღმდეგ სურს მოედანზე გასვლა.



# გიორგი გოგიაშვილი: წინსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია

მგონია, გუშინ იყო, „სამტრედიას" დროებით დაშლილი „ცხუმის" ლიდერი გიორგი გოგიაშვილი რომ დაემატა. მივიდა გუნდში და მაშინვე დაატყო თავისი ხელი (თუ ფეხი?): აქეთ საგოლე პასები გასცა, იქით საფირმო ჯარიმები გაიტანა. მოკლედ, კარგად ჩაეწერა უცხო გუნდში. მით უფრო გასაკვირი იყო, მომდევნო სეზონის I წრეში სათადარიგოთა სკამს რომ ხეხავდა. ცოტაც და, კვლავ დასჭირდათ გოგიაშვილი და ისევ ათამაშდა ძველებურად, ისევ მოიგდო ხელთ მართვის სადავეები და უიმედო სათადარიგოდან კვლავ გუნდის ლიდერად გადაიქცა. ჩვენთვის ადვილია ლაპარაკი ამ 3 წელიწადზე, რომელიც ამდენი წინააღმდეგობებითაა სავსე, მაგრამ საინტერესო ისაა, როგორ მოახერხა უსახლკაროდ, ლამის მხოლოდ საკუთარ ფეხებისა და თავის იმედად დარჩენილმა ფეხბურთელმა ამ პრობლემათა დაძლევა.

**— გიორგი, თუ გქონია იმის გამწვავებული გრძნობა, რომ ლტოლვილი ხარ და თუ გიგრძვნია ეს ფეხბურთში?**

— მაგნაირი გრძნობა არ მქონია, რადგან არ მაგრძნობინებდნენ. თუმცა თავიდან კი მქონდა პრობლემები, მაგრამ მალე დავძლიე.

**— რას გულისხმობ ამ პრობლემებში?**

— როგორ გითხრა. „ცხუმში" თამაშისას ხანდახან არც გავიხედავდი თანაგუნდელებისკენ, ბავშობიდან შეთამაშებული ვიყავით და უსიტყვოდ ვუგებდით ერთმანეთს. ჩემი ბედი, რომ „ცხუმის" შემდეგაც ისეთ გუნდში მოვედი, სადაც მაღალი კლასის ფეხბურთელები იყვნენ. ამან გადამატანინა ყველაფერი.

**— ესე იგი, შენს წარუმატებელ პერიოდში აფხაზეთიდან წამოსვლას დიდი ბრალი არ მიუძღვის.**

— არა.

**— გამოდის, კიდეც გაგიმართლა, რადგან თავიდანვე მოძებნე შესაფერისი გუნდი...**

— რა თქმა უნდა. „სამტრედია" ამ სამი წლის მანძილზე ერთხელ მეოთხეზე გავიდა, მერე ვერცხლის მედლები მოიპოვა, ახლაც საპრიზოსთვის ვიბრძვით. ფაქტიურად, მეორე გუნდი ვართ საქართველოში...

**— რამ შეგიშალათ ხელი, პირველები ყოფილიყავით?**

— დღეს საქართველოში ისეთი ტენდენციაა, რომ „დინამო" აუცილებლად ჩემპიონი უნდა გახდეს. ეს გარკვეულწილად ასეც უნდა იყოს. სხვანაირად გასაკვირიც იქნებოდა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღეს საუკეთესო, უფრო სწორად, კი, ნორმალური სავარჯიშო პირობები რომ გვქონდეს, მაშინ ვნახავდით, ვინ იქნებოდა ჩემპიონი.

**— გოგიაშვილის ნატურა ყოველთვის პირველობისთვის მებრძოლია?**

— რასაკვირველია. „ცხუმიდან" მოყოლებული სულ მაგისთვის ვიბრძოდი. საერთოდ, ყველა ნორმალური ადამიანი ცდილობს, პირველი იყოს.

**— ამ დროს კი, ერთი წელი „ცხუმი" დასარჩენად იბრძოდა, ბოლო ადგილზე გავიდა. ამას როგორ ეგუებოდი?**

— ვინ თქვა, რომ ვეგუებოდი. ძალიან მიჭირდა იმ აზრთან შეგუება, რომ ჩვენ პოზიციებს ვთმობდით. მართალია, მაინც ყურადღების ცენტრში ვიყავით, მაგრამ ეს სხვაგვარი ყურადღება იყო. არადა, მაშინ შემადგენლობით ძლიერები ვიყავით, „ალაზანს", „შევარდენს" არაფრით ჩამოვუვარდებოდით, მაგრამ აფხაზეთის ამბებმა ფსიქოლოგიურად იმოქმედა. ადვილი გასაგებიცაა, ფეხბურთის გარდა ყველაფერზე ვფიქრობდით. ბოლო-ბოლო, ომი ომია და ფეხბურთი უკვე მეორე პლანზე გადადიოდა. თუმცა, ჩვენს თამაშს მაშინ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. აფხაზეთში მებრძოლი ბიჭები რომ გაიგებდნენ, „ცხუმი" კიდევ არსებობს და ასე თუ ისე კვლავაც თამაშობსო, მათ იქ ყოფნას და ბრძოლას მეტი აზრი ჰქონდა...

**— ერთი პირობა თამაშებზე შვეულმფრენითაც ჩადიოდით, ოღონდ ეს უფრო ადრე იყო დასავლეთ საქართველოში არეულობის დროს. გასაგებია, რომ თამაშამდე მხოლოდ ფეხბურთზე იფიქრებდი. თამაშის შემდეგ რა მოგდიოდა თავში ვერტმფრენში მჯდომს?**

— იცი, ვერტმფრენში რომ ჩავჯდებოდით, ფეხბურთზე ვეღარ ვფიქრობდი, ვერც თამაშს ვაანალიზებდი. მაშინ უფრო ცხოვრებისეული პრობლემები მაწუხებდა. იმ დროს გვერდით გვედგა „ცხუმის" პრეზიდენტი გურამ გაბისკირია. სულით და გულით სოხუმელი იყო, ნამდვილი პატრიოტი, იმიტომაც არ უყვარდათ „აფხაზებს". დასანანია, რომ ჩემი მიწა და ჩემი სახლი დავკარგე, მაგრამ მე მაინც დავბრუნდები, რაც უნდა მოხდეს.

**— რა მაგის პასუხია, მაგრამ რუსეთის რომელიმე გუნდმა რომ შემოგთავაზოს კონტრაქტი ბინით, მანქანით, ყოველნაირად ნორმალური პირობებით, ოღონდ, ერთი პირობით, რუსეთის მოქალაქეობა მიიღეო, რას იზამ?**

— ძნელი სათქმელია. თუმცა, თუ პირობები მექნება, ვივარჯიშებ და ვითამაშებ, მაგ კომპრომისზეც წავალ. ამას მხოლოდ იმისთვის გავაკეთებ, რომ ლეგიონერთა ქვოტამ ხელი არ შემიშალოს. დროებით მოქალაქეობას მივიღებ, საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლებას კი არ დავთმობ. თუ ჩემი დონის ასამაღლებლად ეს აუცილებელი იქნება, ამას გავაკეთებ.

**— როგორც გეტყობა, ამაზე ადრეც გიფიქრია. როგორ გგონია, საქართველოში შენი შესაძლებლობები ბოლომდე ამოწურე?**

— არა. შეიძლება, ბევრს ვერც ვერაფრით დავამახსოვრე თავი, მაგრამ ადამიანი ყოველთვის უკეთესისკენ ილტვის. დღეს მოდაშია ჩვენი ფეხბურთის დონეზე სჯა-ბაასი. მე ერთს ვხედავ: აქ წინსვლაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**— ვთქვათ და, „დინამომ" მოგიწვია, მაშინაც უცხოეთისკენ გაგექცევა თვალი?**

— მე არ წავალ „დინამოში"... იმ ასაკში აღარა ვარ, რომ მიხაროდეს „დინამოში" წასვლა. ამას უფრო იმიტომ ვამბობ, რომ ყველა თუ „დინამოში" წავიდა, მოწინააღმდეგე აღარავინ დარჩება. არადა, ამ მეტოქეთა გარეშე არც „დინამოს" არსებობას ექნება აზრი. ბოლოსდაბოლოს, კანონია: რა ძალითაც მაწვები, მეც იმ ძალით მოგაწვები. ძლიერი მეტოქეები „დინამოსთვისაცაა" კარგი.

**— შენი საფეხბურთო აზროვნება რომელ ტაქტიკურ სისტემას ესადაგება?**

— მართალი გითხრა, ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ ერთი ცხადია: ჩვენ, გაგრელები და სოხუმელები სხვა სტილით ვთამაშობდით. სხვაგვარად გავიზარდეთ, მოკლე პასებითა და „კედლებით" თამაშს ვამჯობინებდით.

**— გასაგებია, რომ ნოსტალგია არამარტო ცხუმელ თანაგუნდელებზე, არამედ თამაშის სტილზეც გექნება...**

— თავისთავად. ჩვენ, შავზღვისპირელები, უსიტყვოდ ვუგებდით ერთმანეთს. ძალიან მიკვირს ბათუმელების. ისინი 5 წელია თითქმის ერთი შემადგენლობით თამაშობენ, ყველაზე ძლიერი გუნდი სწორედ ბათუმი უნდა იყოს.

რაც შეეხება ნოსტალგიას, ერთი შემიძლია ვთქვა — ძალიან მწყდება გული, მიუხედავად იმისა, რომ ახლაც ისეთსავე სტილის ფეხბურთელთან, დარასელიასთან ერთად ვთამაშობ. როცა „ცხუმის" აღდგენაზეა საუბარი, ეს არარეალურად მეჩვენება. ხშირად მოჰყავთ დაცლილი ქალაქის, ფამაგუსტას „ანორთოსისის" მაგალითი. მე თუ მკითხავს კაცი, კვიპროსი ეკონომიკურად იმდენად ძლიერი ქვეყანაა, რომ ამის საშუალება აქვს, ჩვენთან კი ზოგი ოჯახს ვერ ინახავს. თუკი აფხაზეთს დავიბრუნებთ და ცხუმი" კვლავ აღდგება, აუცილებლად დავუბრუნდები მშობლიურ გუნდს.

**— რა არის შენი მიზანი ამ წუთში?**

— ვიცოდე, რომ ჩემს ოჯახს, ჩემს მშობლებს, ჩემს დას არ უჭირთ, არ შიათ, არ სწყურიათ. მაშინ მხოლოდ ფეხბურთზე ვიფიქრებ და ჩემს თავს ბოლომდე გამოვავლენ.

ვახტანგ ბზიკაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 15 წელი დიუსელდორფის შემდეგ



ეს ფოტოები შარშან, სექტემბერში გერმანიიდან ჩამოვიტანე და 13 მაისის მოლოდინში „სარბიელის“ არქივში ინახებოდა.

„დინამო“ ევროპული ფეხბურთის მწვერვალებს რომ იპყრობდა, იმ წლებში ეცხოეთში გასამგზავრებელთა სიას, როგორც წესი, „ზემდგომი ამხანაგები“ ადგენდნენ და ჟურნალისტებს იშვიათად სწყალობდნენ. დიუსელდორფის ოთხმოცვაციან „დესანტში“ ერთი პროფესიონალი ფოტორეპორტიორის ადგილი ვერ გამოინახა და ღმერთო ლოლაბეს რომ არ ეყოჩაღა, საკდესისგან მოწოდებული ორი თუ სამი ფოტოს ამარა ვრჩებოდით.

ახლახან გაირკვა, რომ საკდესს ის ფოტოები ფრანკფურტელი ოლივერ მერგისთვის („დოიჩე პრეს აგენტურ“) შეუკვეთია.

შარშან მაცონი მერგი თბილისში გვეწვია – გერმანიის ნაკრებთან და თავის 120 (!) კოლეგასთან ერთად. სწორედ მაშინ შევიპირე, რომ ოთხმოცდაერთის არქივს მოიძიებდა და ჩვენთვის ასე ძვირფას ფოტოებს ნიურნბერგში, გერმანია – საქართველოს საპასუხო მატჩზე დამახვედრებდა. მერგმა, რა თქმა უნდა, სიტყვა შეასრულა – თავისი და ჰორსტ მიულერის გადაღებული ოცამდე ფერადი და შავ-თეთრი ფოტო გადმომცა.

ჰონორარი არ მოუთხოვია, სხვა რამ კი მთხოვა: თუ კაცი ხარ ამიხსენი, რა მოხდა მაშინ ასეთი, რატომ გაიფიცნენ ქართველი რეპორტიორები და დიუსელდორფში არავინ ჩამოვიდაო.

მოდი და აუხსენი.

**ელგუჯა მერიშვილი**












## იტალია

### ბოლო, 34-ე ტური

### ტორინო 0:2 ლაციო

12 000 მაყურებელი

ტორინო: დოარდო, მ. ლონგო, მილანეზე (სოლიანო 20), ანგლომა (მორო 46), მალტალიატი, მეცანო, სიმო, ბერნარდინი, ფოლია, კრისტალინი, კარიჩი (სომეზე 46)

ლაციო: მარკეჯანი (ორსი 5), ნეგრო, ფავალი, დი მატეო, ნესტა, შამოტი, ბოკშიჩი, ფუზერი, კაზირაგი, ვინტერი (მარკოლინი 30), სინიორი (რამბაუდი 76)

გოლი: ბოკშიჩი (1), სინიორი (10)

გაფრთხილება: მორო, ფუზერი

### ბარი 2:2 იუვენტუსი

25 000 მაყურებელი

ბარი: ფონტანა, მანგონე (რიპა 46), პ. ანონი, ჟერსონი, სალა, მონტანარი, პარენტე, პედონე, ანდერსონი (ფიკინი 72), ინგესონი (ვენტოლა 46), პროტი

იუვენტუსი: რამპულა, ტორიჩელი (ტაკინარდი 46), პესოტო, ა. კონტე, პორინი, ფერარა, დი ლივიო, დეშამპი, ვიალი, დელ პიერო (იუგოვიჩი 68), რავანელი (პადოვანო 60)

გოლი: მონტანარი (20; საკ. კარში), პროტი (45, 86), ვიალი (69)

### ნაპოლი 2:1 უდინეზე

45 000 მაყურებელი

ნაპოლი: ტალიალატელა, ბორდინი, ბალდინი, აიალა, კრუსი, კოლონეზე, ბუზო, რ. ლონგო, დი ნაპოლი (კარუზო 87), პიცი (პოლიკანო 60), პეკია (ალტომარე 78)

უდინეზე: ბატისტინი (ტესტაფერატა 87), პელვეგი, ბერტოტო (კალორი 46), ამეტრანო, მატრეკანო, ბია, როსიტო, დეზიდერი, მარინო (შალიმოვი 63), სტროპა, პოჯი

გოლი: პეკია (28; საკ. კარში), პიცი (40 პ), პოლიკანო (72)

გაფრთხილება: პიცი, ბია

### პიაჩენცა 0:1 ფიორენტინა

14 000 მაყურებელი

პიაჩენცა: ტაიბი (სიმონი 61), პოლონია, როსინი, დი ფრანჩესკო, მაკოპი (მორეტი 66), ლუჩი, ტურინი, ა. კარბონე (კაპელინი 39), კაჩა, კორინი, პიოვანი

ფიორენტინა: ტოლდო, კარნაშალი, კოისი, პიაჩენტინი, ამორუზო, პადალინო, რობიატი (ბეტონი 75), ბიჯიკა, ბატისტუტა, რუი კოშტა (ფლაკი 90), ბანკელი (მალუსკი 46)

გოლი: მაკოპი (21; საკ. კარში)

გაფრთხილება: ტურინი, ამორუზო

### მილანი 7:1 კრემონეზე

55 000 მაყურებელი

მილანი: როსი, ტასოტი (კოკო 72), პანუჩი, ალბერტინი, კოსტაკურტა, გალი, ერანიო (ლოკატელი 50), ბობანი, ვეა, ფუტრე (რ. ბაჯო 79), დი კანიო

კრემონეზე: რაცეტი, გარსია, ან. ორლანდო, ჯანდებიაჯი, გუალკო, კრისტიანი, ფანტინი, დე აგოსტინი (ფერარონი 79), ფლორიანჩიჩი, მასპერო (სტეფანი 78), ტენტონი (ალოიზი 46)

გოლი: გუალკო (6; საკ. კარში), ფლორიანჩიჩი (23), ვეა (59), ალბერტინი (61), პანუჩი (66), დი კანიო (83, 86), ბობანი (85)

გაფრთხილება: გალი, ჯანდებიაჯი

### ატალანტა 3:0 პადოვა

12 000 მაყურებელი

ატალანტა: ფერონი (ცანი 46), ა. პაგანინი, პავონე, ფორტუნატო, ერერა, მონტერო, სგრო (გალო 46), სალვატორი, ტოვალიერი (ბონაჩინა 75), მორფეო, პიზანი

პადოვა: მორელო, სერაო (კუიჩი 65), გაბრიელი, ნუნციატა, როზა, ნავა, ფიორე, ვან უტრეხტი (პიოვეზანი 46), ამორუზო (ჩოჩი 78), ლონგი, ვლაოვიჩი

გოლი: სერაო (11; საკ. კარში), სგრო (15), ერერა (54)

გაფრთხილება: ნავა

### რომა 1:0 ინტერი

67 333 მაყურებელი

რომა: ჩერვონე, ალდაირი, კარბონი, დი ბიაჯო (კაპიოლი 85), პეტრუცი, ლანა, მორიერო, სტატუტო, ტოტი (ე. ანონი 75), ტერნი, დელვეკიო (ბალბო 88)

ინტერი: პალიუკა, ბერგომი (ფონტოლანი 64), პისტონე, ფრეზი, მ. პაგანინი, კარლოსი, ძანეტი, მანიკონე (ბ. კარბონე 46), ინსი, განცი

გოლი: დი ბიაჯო (44 პ)

გაფრთხილება: სტატუტო, დი ბიაჯო, პაგანინი, ინსი, პალიუკა

გაძევება: სტატუტო (68), კარლოსი (68)

### კალიარი 2:0 პარმა

13 000 მაყურებელი

კალიარი: აბატე, პანკარო, პუშედუ (ვენტურინი 86), ვილა, ნაპოლი, ფირიკანო, ბიზოლი, სანა, სილვა (ბრესანი 58), ლანტინიოტი (ონილი 13), ოლივეირა

პარმა: ბუჩი, მუსი, ბენარივო, სენსინი, აპოლონი, კანავარო, კასტელინი (ბრამბილა 73), დ. ბაჯო, კრიპა, ძოლა, ინძაგი (მელი 64)

გოლი: სენსინი (41; საკ. კარში), ოლივეირა (75 პ)

გაფრთხილება: ბიზოლი, ონილი, კანავარო

### ვიჩენცა 2:2 სამპდორია

16 996 მაყურებელი

ვიჩენცა: ბრივიო, სარტორი, დიგნაციო, დი კარლო, ბიორკლუნდი, ვივიანი (ბელოტი 73), ამბროზეტი (პიტანა 78), ამერინი (მ. როსი 59), მურჯიტა, მაინი, ოტერო

სამპდორია: ძენგა (პაგოტო 48), ბალერი, ევანი, ინვერნიცი (მანიერო 60), მანინი, მიხაილოვიჩი, კარემბუ, ზეედორფი, კიეზა, რ. მანჩინი, სალსანო

გოლი: მანინი (19; საკ. კარში), ზეედორფი (21), მურჯიტა (33), მანჩინი (83)

გაფრთხილება: დიგნაციო, დი კარლო, ინვერნიცი, კარემბუ, მანიერო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 34 | 21 | 10 | 3 | 60:24 | 73 |
| იუვენტუსი | 34 | 19 | 8 | 7 | 58:35 | 65 |
| ლაციო | 34 | 17 | 8 | 9 | 66:38 | 59 |
| ფიორენტინა | 34 | 17 | 8 | 9 | 53:41 | 59 |
| რომა | 34 | 16 | 10 | 8 | 51:34 | 58 |
| პარმა | 34 | 16 | 10 | 8 | 44:31 | 58 |
| ინტერი | 34 | 15 | 9 | 10 | 51:30 | 54 |
| სამპდორია | 34 | 14 | 10 | 10 | 59:47 | 52 |
| ვიჩენცა | 34 | 13 | 10 | 11 | 36:37 | 49 |
| უდინეზე | 34 | 11 | 8 | 15 | 41:49 | 41 |
| კალიარი | 34 | 11 | 8 | 15 | 34:47 | 41 |
| ნაპოლი | 34 | 10 | 11 | 13 | 28:41 | 41 |
| ატალანტა | 34 | 11 | 6 | 17 | 38:50 | 39 |
| პიაჩენცა | 34 | 9 | 10 | 15 | 31:48 | 37 |
| ბარი | 34 | 8 | 8 | 18 | 49:71 | 32 |
| ტორინო | 34 | 6 | 11 | 17 | 28:46 | 29 |
| კრემონეზე | 34 | 5 | 12 | 17 | 37:57 | 27 |
| პადოვა | 34 | 7 | 3 | 24 | 41:79 | 24 |





მსოფლიო ლიდერი ექსპრეს გზავნილების გადატანაში

"ხელიდან ხელში"

თქვენი გზავნილების, დოკუმენტებისა და ამანათების სწრაფი და საიმედო ჩაბარება ადრესატისათვის მსოფლიოს 222 ქვეყანაში

წერეთლის გამზირი № 105

999 568
340 393
344 826


## ესპანეთი

40-ე ტური. სოსიედადი — ალბასეტე 8:1; სანტანდერი — ტენერიფე 1:2; ატლეტიკო — სალამანკა 2:1; ხიხონი — კომპოსტელა 2:1; სევილია — ვალენსია 1:2; სელტა — ბეტისი 2:0; დეპორტივო — ოვიედო 0:4; ვალიადოლიდი — რეალი 0:3; მერიდა — რაიო ვალეკანო 0:1; სარაგოსა — ატლეტიკი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 40 | 25 | 8 | 7 | 72:31 | 83 |
| ვალენსია | 40 | 25 | 4 | 11 | 75:50 | 79 |
| ბარსელონა | 39 | 21 | 12 | 6 | 66:34 | 75 |
| ესპანიოლი | 39 | 20 | 12 | 7 | 62:34 | 72 |
| ტენერიფე | 40 | 19 | 11 | 10 | 68:51 | 68 |
| რეალი | 40 | 18 | 10 | 12 | 70:51 | 64 |
| დეპორტივო | 40 | 16 | 12 | 12 | 61:41 | 60 |
| ბეტისი | 40 | 15 | 14 | 11 | 59:51 | 59 |
| სოსიედადი | 40 | 16 | 11 | 13 | 57:49 | 59 |
| კომპოსტელა | 40 | 17 | 6 | 17 | 47:54 | 57 |
| სელტა | 40 | 12 | 15 | 13 | 46:47 | 51 |
| სარაგოსა | 40 | 11 | 15 | 14 | 48:54 | 48 |
| ოვიედო | 40 | 12 | 12 | 16 | 44:56 | 48 |
| ხიხონი | 40 | 13 | 7 | 20 | 51:55 | 46 |
| სანტანდერი | 40 | 11 | 13 | 16 | 43:64 | 46 |
| ატლეტიკი | 40 | 10 | 14 | 16 | 39:52 | 44 |
| სევილია | 40 | 10 | 14 | 16 | 40:54 | 44 |
| ვალიადოლიდი | 40 | 9 | 14 | 17 | 46:58 | 41 |
| ალბასეტე | 40 | 10 | 11 | 19 | 53:77 | 41 |
| ვალეკანო | 40 | 11 | 8 | 21 | 42:69 | 41 |

## გერმანია

33-ე ტური. ფრაიბურგი — ლევერკუზენი 2:1; კაიზერსლაუტერნი — ჰანზა 2:0; კარლსრუე — ზანქტ პაული 2:2; კიოლნი — ვერდერი 1:2; შალკე — ბაიერნი 2:1; ჰამბურგი — შტუტგარტი 3:0; მიუნხენი — დორტმუნდი 2:2; ურდინგენი — მიონხენგლადბახი 0:2; ფორტუნა — აინტრახტი 2:2

ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტურით ადრე ჩემპიონობა, ისტორიაში მეხუთედ დორტმუნდის „ბორუსიამ" მოიპოვა. ადრე გავარდნილ „ურდინგენს" ფრანკფურტის „აინტრახტიც" მიჰყვა, მესამე მაჩანჩალა ბოლო ტურშილა გაირკვევა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 33 | 18 | 11 | 4 | 73:36 | 65 |
| ბაიერნი | 33 | 19 | 4 | 10 | 64:44 | 61 |
| შალკე | 33 | 13 | 14 | 6 | 43:35 | 53 |
| გლადბახი | 33 | 15 | 8 | 10 | 51:48 | 53 |
| ჰანზა | 33 | 13 | 10 | 10 | 47:42 | 49 |
| კარლსრუე | 33 | 12 | 12 | 9 | 52:44 | 48 |
| ჰამბურგი | 33 | 11 | 14 | 8 | 48:46 | 47 |
| ვერდერი | 33 | 10 | 14 | 9 | 38:40 | 44 |
| მიუნხენი | 33 | 10 | 12 | 11 | 50:46 | 42 |
| ფრაიბურგი | 33 | 11 | 9 | 13 | 28:38 | 42 |
| შტუტგარტი | 33 | 9 | 13 | 11 | 56:61 | 40 |
| ფორტუნა | 33 | 8 | 15 | 10 | 37:44 | 39 |
| ზანქტ პაული | 33 | 9 | 11 | 13 | 43:49 | 38 |
| ლევერკუზენი | 33 | 8 | 13 | 12 | 36:37 | 37 |
| კიოლნი | 33 | 8 | 13 | 12 | 32:35 | 37 |
| კაიზერი | 33 | 6 | 17 | 10 | 30:36 | 35 |
| აინტრახტი | 33 | 7 | 11 | 15 | 42:64 | 32 |
| ურდინგენი | 33 | 4 | 11 | 18 | 31:56 | 23 |

## საფრანგეთი

37-ე ტური, გინგამი — ოსერი 1:1, ნანტი — მეცი 1:0, ბორდო — პარი სენჟერმენი 2:2, მონაკო — სტრასბური 5:1, კანი — ლანსი 5:1, მონპელიე — ლე ავრი 2:0, გენიონი — რენი 1:0, ლილი — ლიონი 2:1, ბასტია — ნიცა 1:2, სენტ-ეტიენი — მარტიგი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოსერი | 37 | 21 | 6 | 10 | 64:29 | 69 |
| პსჟ | 37 | 18 | 11 | 8 | 60:35 | 65 |
| მონაკო | 37 | 18 | 11 | 8 | 61:37 | 65 |
| მეცი | 37 | 18 | 11 | 8 | 41:28 | 65 |
| ლანსი | 37 | 16 | 14 | 7 | 43:30 | 62 |
| მონპელიე | 37 | 17 | 9 | 11 | 51:39 | 60 |
| ნანტი | 37 | 14 | 13 | 10 | 43:40 | 55 |
| რენი | 37 | 13 | 15 | 9 | 42:38 | 54 |
| გინგამი | 37 | 13 | 14 | 10 | 33:31 | 51 |
| სტრასბური | 37 | 13 | 12 | 12 | 45:44 | 51 |
| ლიონი | 37 | 9 | 18 | 10 | 39:42 | 45 |
| კანი | 37 | 12 | 8 | 17 | 45:49 | 44 |
| ბასტია | 37 | 12 | 8 | 17 | 44:50 | 44 |
| ლე ავრი | 37 | 11 | 11 | 15 | 32:44 | 44 |
| ნიცა | 37 | 11 | 9 | 17 | 35:44 | 42 |
| ბორდო | 37 | 10 | 9 | 18 | 42:52 | 39 |
| ლილი | 37 | 9 | 12 | 16 | 27:48 | 39 |
| გენიონი | 37 | 7 | 14 | 16 | 25:45 | 35 |
| სენტ-ეტიენი | 37 | 6 | 16 | 15 | 36:57 | 34 |
| მარტიგი | 37 | 8 | 7 | 22 | 28:58 | 31 |

## ჰოლანდია

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 34 | 26 | 5 | 3 | 97:24 | 83 |
| ეინდჰოვენი | 34 | 24 | 5 | 5 | 97:25 | 77 |
| ფეიენოორდი | 34 | 18 | 9 | 7 | 66:36 | 63 |
| როდა | 34 | 15 | 12 | 7 | 51:35 | 37 |
| ვიტესი | 34 | 15 | 8 | 11 | 48:44 | 53 |
| სპარტა | 34 | 14 | 11 | 9 | 53:53 | 53 |
| ჰერენვეენი | 34 | 14 | 11 | 9 | 66:68 | 53 |
| ბრედა | 34 | 14 | 10 | 10 | 58:44 | 52 |
| გრონინგენი | 34 | 12 | 13 | 9 | 48:45 | 49 |
| ტვენტე | 34 | 14 | 6 | 14 | 46:55 | 48 |
| ვაალვიკი | 34 | 11 | 11 | 12 | 44:44 | 44 |
| ვილემ II | 34 | 9 | 12 | 13 | 53:59 | 39 |
| ფორტუნა | 34 | 6 | 13 | 15 | 27:54 | 31 |
| გრააფსხაპი | 34 | 6 | 11 | 17 | 37:66 | 29 |
| უტრეხტი | 34 | 6 | 10 | 18 | 27:59 | 28 |
| ვოლენდამი | 34 | 6 | 9 | 19 | 29:65 | 27 |
| ნიიმეგენი | 34 | 6 | 7 | 21 | 33:73 | 25 |
| გოუ ეჰედი | 34 | 5 | 7 | 22 | 40:71 | 22 |

## შოტლანდია

### საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 36 | 27 | 6 | 3 | 85:25 | 87 |
| სელტიკი | 36 | 24 | 11 | 1 | 74:25 | 83 |
| აბერდინი | 36 | 16 | 7 | 13 | 52:45 | 55 |
| ჰართსი | 36 | 16 | 7 | 13 | 55:53 | 55 |
| ჰიბერნიანი | 36 | 11 | 10 | 15 | 43:57 | 43 |
| რეის როვერსი | 36 | 12 | 7 | 17 | 41:57 | 43 |
| კილმარნოკი | 36 | 11 | 8 | 17 | 39:54 | 41 |
| მოზერველი | 36 | 9 | 12 | 15 | 28:39 | 39 |
| პარტიკი | 36 | 8 | 6 | 22 | 29:62 | 30 |
| ფალკირკი | 36 | 6 | 6 | 24 | 31:60 | 24 |

## ინგლისის თასი

### თასის ფინალი

| | |
|---|---|
| მანჩესტერ იუნაიტედი | 1 |
| ლივერპული | 0 |

უემბლი. 79 007 მაყურებელი

მანჩესტერ იუნაიტედი: შმაიხელი, ირვინი, პალისტერი, კანტონა, გიგზი, მეი, კინი, ბათი, კოული (სქოულზი 63), ფ. ნევილი, ბექემი (ჯ. ნევილი 89)

ლივერპული: ჯეიმსი, ჯოუნზი (თომასი 86), მაკატირი, რაიტი, ბები, კოლიმორი (რაში 74), ბარნსი, სქეილზი, რედნეპი, მაკმანამანი, ფაულერი

გოლი: კანტონა (85)

გაფრთხილება: ბები, რედნეპი, ფ. ნევილი

## კანტონალია

იცით თუ არა, რომ 1966 წელი ინგლისური ფეხბურთისთვის უბედნიერესი ყოფილა? ოღონდ, იმ წელს მოპოვებულ მსოფლიოს ჩემპიონობას ნუ გავიხსენებთ და ისე ვიკითხოთ, რატომ?

იმიტომ, რომ იმ წელიწადს სადღაც, ზღვის გადაღმა, მარსელში ერიკ კანტონა დაიბადა. კიდევ, ინგლისური ფეხბურთისთვის უბედნიერესი 1996 წელი ყოფილა. ეს კი იმიტომ, რომ წინა წელს დისკვალიფიკაცია მოხდილი კანტონა საოცრად ათამაშდა — ხელახლა დაიბადა. აი, ამგვარი ფრაზებითაა სავსე ბრიტანული პრესა. საოცარია, ყველა იმას ამბობს, „მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგ ფორვარდს შაბათს „უემბლიზე" გამართულ თასის ფინალში ციდან ვარსკვლავები სულაც არ მოუწყვეტია, მისგან ათასჯერ უკეთესი გვინახავსო. და მაინც, იმ დღის გმირად ერთხმად აღიარებულია ერიკ კანტონა, გამარჯვების გოლის ავტორი.

რა არის ეს, ბედი თუ საგანგებო ნიჭი? ჩემპიონატში „მანჩესტერ იუნაიტედი" „ნიუკასლს" 12 ქულით ჩამორჩებოდა, როდესაც ერიკმა ყოველ თამაშში გადამწყვეტი გოლის გატანა დაიწყო. შედეგად, მანჩესტერელთა გუნდი ჩემპიონი გახდა. შაბათსაც იგივე მოხდა. თასის ფინალში, დროის ამოწურვამდე ხუთი წუთით ადრე, შეხვედრის ერთადერთი გოლი კანტონამ შეაგდო. ამიტომაც არაა გასაკვირი, ინგლისურმა მას-მედიამ, რომელიც „იუნაიტედის" ჩემპიონად გახდომას პირადად ფრანგის დამსახურებად თვლიდა, თასიც მას მიაკუთვნა.

ამგვარად, „მანჩესტერ იუნაიტედმა", პირველმა ინგლისურ კლუბებს შორის მეორედ მოიპოვა დუბლი — ჩემპიონობაც და თასიც ერთ სეზონში. წინაზე, ეს მან 1994 წელს მოახერხა, როდესაც ფინალში „ჩელსის" მოუგო 4:0. მაშინ, ორი გოლი, ორივე პენალტი, კანტონამ გაიტანა. მანჩესტერელები შარშანაც იყვნენ ფინალში, ოღონდ „ევერტონთან" დამარცხდნენ.

სულ ეს გუნდი ინგლისის თასის ფინალში 14-ჯერაა ნამყოფი და აქედან 9-ჯერ გაიმარჯვა: 1909 წელს „ბრისტოლ სიტისთან" — 1:0, 1948 წელს „ბლექპულთან" — 4:2, 1963 წელს „ლესტერთან" — 3:1, 1977 წელს „ლივერპულთან" — 2:1, 1983 წელს „ბრაიტონთან" — 4:0 (2:2-ის შემდეგ), 1985 წელს „ევერტონთან" — 1:0 (დამატებით დროში), 1990 წელს „კრისტალ პალასთან" — 1:0 (3:3-ის შემდეგ), 1994 წელს „ჩელსისთან" — 4:0 და ახლა „ლივერპულთან" — 1:0.

მიაქცევდით ყურადღებას, ორჯერ, ფრეს შემდეგო, სწერია. შაბათსაც კანტონას 85-ე წუთზე რომ არ შეეგდო (სეზონის მე-19 გოლი), 18 მაისს გუნდებს ხელმეორედ მოუწევდათ შებმა, ხოლო თუ ეს თამაშიც ფრე იქნებოდა, მაშინ დამატებით დროსა და პენალტებს დანიშნავდნენ. პენალტებით თასის მფლობელების გარკვევა ალბიონზე 1991-92 წლების სეზონში შემოიღეს, მაგრამ ჯერ არ დასჭირვებიათ.

ამგვარად, კანტონას მიერ „ლივერპულის" შეგდებით [illegible] ქვეყნის ანუ ფეხბურთის ასოციაციის თასს. აქამდე იგი რეკორდს „ტოტენჰემ ჰოთსპურს" უყოფდა.

თამაშის შემდეგ ჟურნალისტებმა, ბუნებრივია, კანტონაზე დაიწყეს ნადირობა. აი, რა უთხრა მან ბი-ბი-სის, რომლის კორესპონდენტმაც, უპირველესად, შარშანდელ დისკვალიფიკაციასა და დღევანდელ კარგ ბიჭად გახდომაზე ჩამოუგდო სიტყვა:

— რაც მსიამოვნებს, ყოველთვის იმას ვაკეთებ. ცხოვრების წესი რომ შევიცვალო, საკუთარ თავთან ჰარმონიულად ვეღარ ვიქნები. სულ იმას ვცდილობ, ჩემი სხეული და გონება შევათანხმო. ახლა სწორედ ასეთი დროება მიდგას...

ამ საუბრისას კანტონას კეტბურთელის ქუდი ეხურა, სკამზე ოდნავ გადაწოლილიყო და სრულიად გულწრფელი ჩანდა:

— მე ამპარტავანი სულაც არ ვარ, უბრალოდ, საკუთარი თავისა მწამს.

მერე ჰკითხეს, სეზონის დასაწყისი კარგს რომ არაფერს გიქადდათ (გუნდიდან წავიდნენ კანჩელსკისი, ჰიუზი და ინსი), რას ფიქრობდითო.

— ძლიერ ოპტიმისტი გახლავართ. მარტო რომ მათამაშოთ მთელი გუნდის წინააღმდეგ, მაინც მოგებაზე ვიფიქრებ. არაფრის მეშინია. შარშანდელი ინციდენტის შემდეგ („კრისტალ პალასის" ქომაგი რომ გალახა) ამ სეზონში ბევრი რამ მქონდა დასამტკიცებელი. ხომ გახსოვთ, რამდენს მაკრიტიკებდნენ. კრიტიკა ხშირად სასარგებლოა, მაგრამ ზოგი კრიტიკოსის აზრი კი ნამდვილად ტუალეტშია ჩასარეცხი.

სამომავლო გეგმებსა და მოახლოვებულ ევროპის ჩემპიონატზე კი ასე უპასუხა:

— მომავალ სეზონში ჩემპიონთა თასი უნდა მოვიპოვოთ. ეს ინგლისური ფეხბურთისთვის ძლიერ მნიშვნელოვანია. თუ ევროპულ წარმატებას ვერ მივაღწიეთ, იქაური ხალხი მალე დაგვივიწყებს, მხოლოდ ქვეყნის ჩემპიონატის მოგება კი არაფერია. რაც შეეხება ევროპის პირველობას, სადაც მე საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელს არ მივყავარ, იმას ვიტყვი, რომ იგი ფეხბურთელებს დაღლის და მომდევნო სეზონს, ალბათ, ისე კარგად ვერ ჩაატარებენ.

რას აპირებს კანტონა ფეხბურთელობის მერე?

— ფეხბურთს თავს ალბათ ორი წლის შემდეგ დავანებებ. შესაძლოა, უფრო ადრეც შევეშვა სპორტს, თუმცა, შესაძლოა, მეტხანსაც ვითამაშო. ცხოვრებაში კაცმა არ იცის, რა მოხდება. ერთი კი ვიცი, რომ საცხოვრებლად ინგლისში დარჩენა მსურს. შესაძლოა მწვრთნელი გავხდე... ზუსტად არ ვიცი. ასეა თუ ისე, ჩემი მეუღლე და ბავშვებიც აქ თავს ბედნიერად გრძნობენ.

ის დღე, მთელი სეზონის დარად, ფრანგისა იყო, რომელმაც — თავს სანახევროდ ფრანგად, სანახევროდ ირლანდიელად და სანახევროდ ინგლისელად ვგრძნობო — განაცხადა. „ლივერპულს" კი არაფერმა უშველა. ასე განსაჯეთ, არც სახელმოხვეჭილმა იტალიელმა დიზაინერმა ჯორჯო არმანიმ, რომელიც წაგებულთა მეკარემ დევიდ ჯეიმსმა „უემბლიზე" საგანგებოდ დაპატიჟა, რათა მას ამ კლუბის სამომავლო სამოსის ესკიზი შეესრულებინა. თურმე ჯეიმსი არმანის ჯინსებსა და საცვალს უწევდა რეკლამას.

მთელი თამაში კი მოსაწყენი იყო, ერთადერთი მომენტი გოლით დამთავრდა.

ᲙᲐᲙᲣᲜᲐ ᲙᲔᲓᲘᲐ



# ჯანაშიაც თასის წილშია

რუსეთის თასი. ფინალი. მოსკოვი. 11 მაისი.

**ლოკომოტივი — სპარტაკი 3:2 (2:2)**

ლოკომოტივი: ოვჩინნიკოვი, ჩერევჩენკო, დროზდოვი, ხარლაჩოვი, ოგანესიანი, ჩუგაინოვი, კოსოლაპოვი, გურენკო, სნეგირიოვი (ჯანაშია), ელიშევი, სოლომატინი

სპარტაკი: ფილიმონოვი, ანანკო, ნიკიფოროვი, ციმბალარი, გორლუკოვიჩი, ლიპკო (ტიტოვი), მელიშინი (კეჩინოვი), შირკო, ევსეევი, ტიხონოვი (ჯუბანოვი)

რუსეთის თასის ფინალი მეტად დრამატული და ფინალის კვალობაზე უხვგოლიანიც გამოდგა. მეტოქეები დაუხანებლადვე საქმეზე გადავიდნენ და პირველსავე წუთზე ელიშევის დარტყმა ასცდა „სპარტაკის" კარს. მე-5 წუთზე კი უკვე სპარტაკელმა გორლუკოვიჩმა ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი. მე-10 წუთზე სპარტაკელთა საჯარიმოს მისადგომებთან ჯარიმა დაინიშნა და ლოკომოტიველთა კაპიტანმა კოსოლაპოვმა ბურთი ფილიმონოვის კარში ჩააზვია. „სპარტაკი", რომელიც მე-17-ედ იყო ფინალში (საკავშირო თასის გათამაშებებსაც თუ ჩავთვლით), შეტევაზე გადავიდა. სანამ მათი კაპიტანი ნიკიფოროვი შორიდან დასარტყმელ ხელსაყრელ მომენტს ეძებდა, ლიპკომ დაახლოებით 35-37 მეტრიდან ძლიერად დაარტყა და ანგარიში გაქვითა. იქვე სოლომატინმა დაკარგა შანსი. საერთოდ, პირველ ტაიმს გუნდები ისე თამაშობდნენ, გეგონებოდა, მატჩის ბოლო წუთები იწურებაო. 31-ე წუთზე ლოკომოტიველებმა თავიანთ საჯარიმოში იუხეშეს და ნიკიფოროვმა ზუსტად შეასრულა პენალტი. ამ ტაიმშივე მეორე პენალტიც დაინიშნა: ოგანესიანი სპარტაკელთა საჯარიმოში წაიქცა და მსაჯმა მეტად საეჭვო თერთმეტმეტრიანი დანიშნა. კოსოლაპოვმა მეორე გოლი გაიტანა ამ მატჩში 2:2.

ღია თამაში მეორე ტაიმშიც გაგრძელდა. ტიხონოვის უკუდარტყმა ოვჩინნიკოვმა მოიგერია, შემდეგ გურენკოს გარღვევა დამთავრდა უშედეგოდ. მწვრთნელებმა შუა ტაიმში ახალი მოთამაშეები შემოიყვანეს. კეჩინოვმა ლოკომოტიველთა მარჯვენა ფრთიდან შეუტია და რამდენჯერმე სახიფათოდაც მიაწოდა ცენტრში, მაგრამ პარტნიორებმა ვერ იხეირეს. ასე ორმხრივ შეტევებში თავდებოდა მატჩი, როცა ელიშევის შესანიშნავი პასი (იგი საუკეთესო იყო ამ შეხვედრაში) კარგად გამოიყენა დროზდოვმა და გამარჯვების გოლი გაიტანა 3:2. ამ მომენტამდე წუთით ადრე მოედანზე ჯანაშია შევიდა.

გამარჯვებულებმა შესანიშნავი საჩუქარი უძღვნეს თავიანთ მწვრთნელს იური სიომინს, რომელიც იმ დღეს 49 წლისა გახდა. „ლოკომოტივი" წელს ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში მიიღებს მონაწილეობას.

## ფეხბურთის რუკასთან

ინგლისში ევროპის ჩემპიონატის ბილეთების განაწილებას სკანდალი და სისხლის სამართლის საქმე მოჰყვა. თანამდებობიდან მოხსნეს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის კომერციული დირექტორი ტრევორ ფილიპსი. ფილიპსს მოსაწვევი ბილეთების სამისო უფლების არმქონე კომპანიებისთვის დარიგება დასწამეს. ყოფილი კომერციული დირექტორი ბრალდებას, ცხადია, უარჰყოფს და აცხადებს, რომ მან ბილეთების ყველა მსურველს მათი წესისა და რიგის თანახმად შეძენისკენ მოუწოდა. პოლიციის ცნობით, დაპატიმრებულია 18 ადამიანი, რომლებიც ბილეთებს „მარცხნივ" ყიდდნენ. მათგან ექვსს ნამდვილად გაანთავისუფლებენ.

იტალიაში „ფიორენტინას" ქომაგებმა ბოლოსწინა ტურში მსაჯს ბილეთები და ხურდა დაუშინეს. ამის გამო ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ გუნდს ერთი თამაშის შინ ჩატარება აუკრძალა. ვინაიდან ჩემპიონატი დამთავრდა, „ფიორენტინას" სასჯელის „მოხდა" მომდევნო სეზონში მოუწევს.

ნიგერიის ნაკრების მწვრთნელი, ჰოლანდიელი ჯო ბონფრერი, რომელმაც 2 აპრილს თანამდებობა მიატოვა, კვლავ დაუბრუნდა სამუშაოს. რომ მიდიოდა, ბონფრერმა ფეხბურთის ფედერაციაში წერილი დასტოვა, თქვენ ჩემს საქმეებში უხეშად ერეოდით და ამიტომ წავედიო. ახლა ყველაფერი მოგვარდა და მწვრთნელი ატლანტის ოლიმპიადისთვის მზადებას შეუდგა, სადაც ნიგერიას ბრაზილიასთან, იაპონიასთან და უნგრეთთან მოუწევს თამაში.

შოტლანდიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ველარ დაეხმარება გლაზგოს „სელტიკის" კაპიტანი პოლ მაკსტეი, რომელმაც კოჭი დაიზიანა. მის ნაცვლად კრეიგ ბრაუნის 22-კაციან გუნდში ჩარიცხეს „ქოვენთრის" ეოინ ჯესი. 31 წლის მაკსტეის, რომელსაც ქვეყნის ნაკრებში 73-ჯერ უთამაშია, ოპერაციის გაკეთება მოუწევს.

ინგლისში პირველი დივიზიონის კლუბ „ბირმინგემ სიტიში" ახალი მწვრთნელი დაინიშნა. იგია 42 წლის ცნობილი ტრევორ ფრენსისი, რომელმაც 16 წლისამ კარიერა სწორედ ამ გუნდში დაიწყო.

ალბანეთის ჩემპიონი გახდა „ტირანა". მან ბოლო ტურში 5:1 მოუგო „ალბპეტროლს", მისი კონკურენტი „ტეუტა" კი „პარტიზანთან" 0:1 დამარცხდა. „ტირანა" მეთექსვმეტედაა ქვეყნის ჩემპიონი.

იტალიაში „ნაპოლის" ახალი მწვრთნელი ეყოლება. მომავალი სეზონიდან ამ თანამდებობას „კრემონეზეს" ახლანდელი თავკაცი ლუიჯი სიმონი დაიკავებს. სიმონი ფეხბურთელობისას, 60--იან წლებში, „ნაპოლის" წევრი იყო. შემდეგ კი „ჯენოას" და „ლაციოს" წვრთნიდა.

ბრაზილიაში „ფლამენგომ" „ინტერნასიონალთან" თასის მეოთხედფინალში წააგო 2:3, რის გამოც მის საწყალ მწვრთნელს ჟოელ სანტანას გულშემატკივრებმა ობსტრუქცია მოუწყვეს. არადა, გუნდს სანტანას ხელმძღვანელობით ზედიზედ 30 თამაში არ წაეგო, აქედან 23 სანპაულუს ჩემპიონატში, 4 თასზე და სამიც ამხანაგური.

ისრაელის ჩემპიონი მე-17-ედ გახდა თელ-ავივის „მაკაბი", რომელმაც შაბათს იერუსალიმის „ბეითარს" 1:0 მოუგო. ახლა ეს „მაკაბი" 6 ქულით უსწრებს ჰაიფას „მაკაბის" და მისგან მიუწვდომელია.

იტალიაში „იუვენტუსმა" კიდევ ერთი წლით შეინარჩუნა „სტადიო დელე ალპი", რომლიდანაც ქირის გადაუხდელობის გამო კინაღამ გააგდეს. ქალაქის ხელმძღვანელობასთან შვიდსაათიანი მოლაპარაკების შემდეგ შეთანხმდნენ, რომ „იუვეს" თანაქალაქელი „ტორინოც" წაეშველება, ისინი სტადიონზე სარეკლამო საქმიანობას ერთად წარუძღვებიან და ვალს გადაიხდიან. არადა, ეს სტადიონი გულშემატკივრებს მაინცდამაინც არ უყვართ, რადგან მასზე ზოგი ადგილი მოედნიდან 175 მეტრითაა დაშორებული.

ჰოლანდიის ანტილებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში 0:0 ითამაშეს დომინიკელთა რესპუბლიკასთან, ორი თამაშის ჯამში კი 1:2 დამარცხდნენ და გავარდნენ. სენტ-ვინსენტმა და გრენადინებმა 7:0 სძლიეს პუერტო რიკოს. ჯამში 9:1 გამოვიდა. კაიმანის კუნძულებმა 0:1 წააგო კუბასთან, ჰაიტიმ გრენადას 6:1 მოუგო — ეს თამაშები პირველი წრისა იყო. გვატემალა — ნიკარაგუა 2:1 (ჯამში 3:1).

ინგლისში „ჩელსის" მწვრთნელი გლენ ჰოდლი, როგორც ცნობილია, ევროპის ჩემპიონატის მერე ქვეყნის ნაკრებს ჩაუდგება სათავეში. კლუბი კი მის შემცვლელს ეძებდა და აკი იპოვნა კიდეც. მომავალი სეზონიდან მას მოთამაშე-მწვრთნელი ეყოლება. ეს მისია რუუდ გულიტმა იტვირთა.

იტალიაში „მილანმა" ფაბიო კაპელოს მადრიდის „რეალში" გაშვების შემდეგ ახალი მწვრთნელი მოიძია. იგია ურუგვაელი ოსკარ ტაბარესი, თავისი ქვეყნის ნაკრებისა და „კალიარის" ყოფილი მწვრთნელი.

ბრაზილიელი ჟოაო ავალანჟი, რომელიც 1974 წლიდან ფიფას პრეზიდენტია, 80 წლის ხდება. ამასთან დაკავშირებით ფიფამ რიო დე ჟანეიროსთან ახლო სოფელში არსებულ უპატრონო ბავშვთა სახლს მისი სახელი უწოდა. ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ზეპ ბლატერმა პრეზიდენტს მისალოცი გაუგზავნა, სადაც წერს: „ამ სახლისთვის თქვენი სახელის მინიჭებით ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ უზარმაზარ ამაგს, რომელსაც თქვენ ახალგაზრდებისთვის მთელი ცხოვრება სწევდით".

ინგლისში საუკეთესო მწვრთნელად აღიარეს არა ალექს ფერგიუსონი, რომელმაც „მანჩესტერ იუნაიტედს" დუბლი გააკეთებინა, არამედ პირველი დივიზიონის გამარჯვებულის „სანდერლენდის" თავკაცი პიტერ რეიდი. თურმე, მისი მიღწევა იმიტომაა უფრო დასაფასებელი, რომ „სანდერლენდი" მეტად ღარიბი გუნდია. „სანდერლენდი" გასულ სეზონში კინაღამ პირველი ლიგიდანაც გავარდა, ახლა კი პრემიერლიგის საგზური მოიპოვა. ფერგიუსონი კი მხოლოდ პრემიერლიგის საუკეთესო მწვრთნელად სცნეს.

აშშ-ის ნაკრებს 26 მაისს ნიუ ბრიტანში შოტლანდიასთან აქვს ამხანაგური შეხვედრა. ამ მატჩისთვის ამერიკელებმა მექსიკის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი მარტინ ვასკესის გადაბირება ისურვეს. ვასკესი 32 წლისაა და 10-ჯერ აქვს მექსიკელთა გუნდში ნათამაშები. ამერიკელთა მწვრთნელს სტივ სემპსონს იმედი აქვს, რომ თუ ვასკესს დროულად მისცემენ თავიანთი ქვეყნის მოქალაქეობას, ფიფა ახალ გუნდში თამაშის ნებას დართავს, რადგან ათივე შეხვედრა, რაც ვასკესმა ძველ სამშობლოში ჩაატარა, ამხანაგური იყო. საეჭვოა, ფიფამ აშშ-ს გულისთვის თავისი კანონი დაარღვიოს.

ბრიტანეთის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელად სახალხო გამოკითხვით სცნეს ჯორჯ ბესტი. მეორე ადგილზე გავიდა სტენლი მეტიუზი, მესამეზე — ბობი ჩარლტონი. ბესტი, რომელმაც ჩრდილო ირლანდიის ნაკრებში 31-ჯერ ითამაშა, 22 მაისს 50 წლის ხდება.

ინგლისის ნაკრები 18 მაისს „უემბლიზე" უნგრეთს ხვდება. ამ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობას მიიღებს დარენ ანდერტონი, რომელმაც ტრავმის გამო გასულ სეზონში „ტოტენჰემის" შემადგენლობაში მხოლოდ ოთხჯერ ითამაშა. ამავე შეხვედრაში ითამაშებს ალან შირერი, რომელმაც ამასწინათ საზარდულის ოპერაცია გაიკეთა. იგივე პრობლემა გადაჭრა მცველმა ტონი ადამსმაც, „გლაზგო რეინჯერსის" პოლ გესქოინი კი შოტლანდიის თასის ფინალის გამო ვერ შეებრძოლება უნგრელებს. ტერი ვენეიბლზმა წინასწარ ასეთი შემადგენლობა გამოიძახა: დევიდ სიმენი, ტიმ ფლაუერსი, იან უოქერი; გერი ნევილი, რობ ჯონსი, ტონი ადამსი, მარკ რაიტი, გარეთ საუთგეიტი, სოლ კემპბელი, სტიუარტ პირსი, ფილიპ ნევილი; პოლ ინსი, დევიდ პლატი, რობერტ ლი, ჯეიმი რედნეპი, დენის ჟაიზი, სტივ მაკმანამანი, ჯეისონ ვილკოქსი, დარენ ანდერტონი; სტივ სტოუნი, პიტერ ბერდსლი, ნიკ ბარმბი, ალან შირერი, ტედი შერინგემი, ლეს ფერდინანდი, რობი ფაულერი.

## საფეხბურთო ტოტალიზატორი ლაპლას-ტოტო

**მატჩების სია — ტირაჟი № 31 (18-20 მაისი)**

| | |
|---|---|
| 1 ვალენსია — ესპანიოლი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 2 ბეტისი — დეპორტივო | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 3 კომპოსტელა — სევილია | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 4 ოვიედო — ვალიადოლიდი | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 5 ტენერიფე — ატლეტიკო | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 6 ბარსელონა — სელტა | ესპანეთის ჩემპიონატი |
| 7 რეალი — მერიდა | ესპანეთის ჩემპიონატი |

**№29 ტირაჟის შედეგები**

1. 3-0 2. 1-0 3. 1-0 4. 1-0 5. 1-3 6. 1-1 7. 1-0

მოგებები: ხუთი, ექვსი და შვიდი მატჩის ანგარიში ვერავინ გამოიცნო.
JACK POT — შესაბამისად 250, 705 და 1085 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, ახმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

## ფლეი-ოფი

NBA

II წრე (4 მოგებამდე)

**აღმოსავლეთი**

### ჩიკაგო — ნ-იორკი 2:1

11 მაისი. ნიუ-იორკი

ნიუ-იორკ ნიქსი — ჩიკაგო ბულზი 102:99

ნიუ-იორკი: დ. ჰარპერი (3), სტარქი (30), ოკლი (13), მეისონი (18), იუინგი (22); ვარდი (12), დევისი, ანდერსონი (4)

ჩიკაგო: რ. ჰარპერი (4), ჯორდანი (46), პიპენი (24), როდმანი (7), ლონგლი (6); ვენინგტონი (4), კერი (6), ბიუპლერი (2), სეილი, ედვარდსი

12 მაისი. ჩიკაგო

ჩიკაგო — ნ-იორკი 94:91

### ორლანდო — ატლანტა 2:0

12 მაისი. ორლანდო

ორლანდო მეჯიქი — ატლანტა ჰოქსი 94:91

**დასავლეთი**

### ჰიუსტონი — სიეტლი 0:3

10 მაისი. ჰიუსტონი

ჰიუსტონ როკიტსი — სიეტლ სუპერქსონიქსი 107:114

ჰიუსტონი: სმიტი (2), დრექსლერი (15), ბრაუნი (4), ჰორი (20), ოლაჯუონი (26); ბრაიანთი (10), ელი (15), კასელი (15), მეკი

სიეტლი: პეიტონი (24), ჰოკინსი (17), შრემპფი (18), კემფი (32), ჯონსონი; მაკმილანი (6), პერკინსი (9), ესკიუ (3), ბრიკოვსკი

### სან-ანტონიო — იუტა 1:1

9 მაისი. სან-ანტონიო

სან-ანტონიო სფურზი — იუტა ჯაზი 88:77

სან-ანტონიო: ჯონსონი (8), დელ ნეგრო (10), ელიოტი (12), სმიტი (10), რობინსონი (24); პერდიუ (8), პერსონი (16), ალექსანდერი

იუტა: სტოქტონი (4), ჰორნაჩეკი (3), მორისი (2), მელოუნი (24), სპენსერი; ეისლი (4), რასელი (16), ოსტერტაგი (5), კარი (8), კიფი (11)




ჯორდანმა 46 ქულა ჩააგდო

## ქალთა ნბა-ც?

როგორც ნბა-ს კომისარ დევიდ შტერნს განუცხადებია, 1997 წლის ზაფხულში, როცა ნბა-ში პაუზა იქნება, ამოქმედდება ქალთა პროფესიული ლიგა. გუნდების რაოდენობა და სადაურობა წელსვე, ივლისში გამოცხადდება. სიახლე ქალთა კალათბურთის მზარდ პოპულარობას განუპირობებია. აქამდე პროფესიულ სპორტში ქალთა ლიგა არსად ჰქონიათ.

თენგიზ არტამონოვი

# ვითა თუ დინამო?

საკ[illegible]

სპორტის სასახლეში დამთავრდა ექვსეულის თამაშები და [illegible] ნდი, რომელიც ჩემპიონობისთვის აგრძელებს ბრძოლას. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ამას დიდი გარკვევა არც უნდოდა, რადგან ამ ჩემპიონატში მხოლოდ ერთია საკითხავი — „დინამო" იქნება ჩემპიონი თუ „ვითა", სხვა ყველაფერი ნათელია. ტრადიციულად, სწორედ ეს ორნი შეხვდნენ ერთმანეთს ექვსეულის ტურის ბოლო დღეს. გახსოვთ, ალბათ, ექვსეულის თამაშების პირველ წრეში გუნდებმა შესანიშნავად ითამაშეს და „დინამომ" 16 ქულიანი უპირატესობა მოუსპო „ვითას". იმ თამაშის შემდეგ მათი შეხვედრათა ბალანსი ბოლო სეზონში 2:1 გახდა „დინამოს" სასარგებლოდ და, გასაგებია, „ვითას" რევანში სწყუროდა. ამჯერად მატჩი ველარ გამოდგა ისეთივე დაძაბული. მხოლოდ პირველი ტაიმის შუამდე ეთქმოდათ მეტოქეებს ტოლ-სწორობა, ტაიმის ბოლოს კი „ვითა" 7 ქულით დაწინაურდა. „ვითამ" მეორე ნახევარშიც იძალა და საბოლოოდ დამაჯერებლადაც გაიმარჯვა 89:71. „დინამოს" სასტარტო შემადგენლობაში არ იყო დარსაძე, დასაწყისშივე დაშავდა ჩერქეზიშვილი და ამიტომ „დინამოს" შეტევები ისე მწყობრი აღარ იყო. „ვითას" აკლდა დადიანი და „კაქტუსიდან" გადმოსული თორთლაძე. ამ შეხვედრის შემდეგ გაირკვა, ვინ ვის შეხვდება ნახევარფინალში: „დინამო" — „ქიმიკოსს", „ვითა" — სდასუ-ს.

თბილისი. სპორტის სასახლე.
ექვსეულის მე-2 ტური.

6 მაისი

### შევარდენი — ვითა 72:118

შევარდენი: ისაკაძე (10), ფიოდოროვი (3), მოლოდინაშვილი (10), ესიტაშვილი (8), ლვინეფაძე (20); თოიძე (6), ტულუში (5), თაბუაშვილი (10), ინაძე.

ვითა: ტურაშვილი (9), სანაძე (8), ნაცვლიშვილი (20), ქარაბაკი (21), შენგელია (6); კობეშავიძე (5), დერიუგინი (2), კოკოლიშვილი, აბრამიძე (2), ორმოცაძე (20).

### სდასუ — ქიმიკოსი 56:65

სდასუ: გიგაური, ქევხიშვილი (5), ნიკოლაძე (8), ეგუტია (7), ჩუბინიძე (14); ჩხეიძე (6), ბახიშვილი (2), გაბრიჩიძე (10), ახობაძე.

ქიმიკოსი: გაბისონია (16), კიკვიძე (1), მ. ბერუაშვილი (2), კეჭაყმაძე (8), გ. ბერუაშვილი; აზნიაიძე (18), გოგოლაძე (24), მიქიაშვილი (7), ხაიაური, ნიკლაური, კოჭლამაზაშვილი.

7 მაისი

### დინამო — შევარდენი 130:50

დინამო: ხომტარია (20), ბეჟანიშვილი (19), სხიერელი (15), ჩერქეზიშვილი (9), კილაძე (18); ოთიურიძე (22), ჩიქოვანი (11), გოგუა (3), ულენტი (13).

შევარდენი: მოლოდინაშვილი (7), ინაძე (5), ესიტაშვილი (12), თაბუაშვილი (17); ტულუში (2), ლვინეფაძე (2), მოისწრაფიშვილი.

### ქიმიკოსი — მაკაბი 71:58

ქიმიკოსი: გურასპაული (5), აზნიაიძე (7), მ. ბერუაშვილი (14), კეჭაყმაძე (8), მიქიაშვილი (7); გოგოლაძე (8), ნიკლაური (5), ხაიაური (2), კოჭლამაზაშვილი (3).

მაკაბი: უძილაური (21), ტალაბაძე (2), მაჭარაძე (17), ხუხაშვილი (7), ანდღულაძე (4); დავითულიანი (4), ტაბატაძე (2), შველიძე (1).

### ვითა — სდასუ 101:60

ვითა: კობეშავიძე (3), ნაცვლიშვილი (12), ქარაბაკი (18), დადიანი (15), კოკოლიშვილი (19); აბრამიძე (3), ორმოცაძე (6), დერიუგინი (12), შენგელია (5), სანაძე (5), ტურაშვილი (3).

სდასუ: ქევხიშვილი (7), ნიკოლაძე (6), ჩუბინიძე (16), ჩხეიძე (11), მუშკუდიანი (24); ძიძიგური (6), დ. ბერიშვილი.

8 მაისი

### შევარდენი — მაკაბი 46:76

შევარდენი: ისაკაძე (8), მოლოდინაშვილი (3), ინაძე (10), ესიტაშვილი (2), თაბუაშვილი (13); ტულუში (5), ლვინეფაძე (5), თოიძე, ქართველიშვილი.

მაკაბი: უძილაური (26), მაჭარაძე (5), ხუხაშვილი, ანდღულაძე (11), ტალაბაძე (11); ტაბატაძე (5), დავითულიანი (5), ჩაჩხიანი (13), შველიძე.

20 მაისს სტამბულის ყველაზე ფეშენებელურ კორტებზე გაიმართება დევისის თასის გათამაშების ერთ-ერთი ეტაპი. ამ ტურნირში მონაწილეობს საქართველოს ჩოგბურთელ ვაჟთა ეროვნული ნაკრები. საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია გთავაზობთ ტურისტულ საგზურებს ტურნირზე დასასწრებად. გულშემატკივრები უზრუნველყოფილნი იქნებიან თვითმფრინავის ბილეთებით (თბილისი-სტამბული-თბილისი), მაღალი კლასის სასტუმროთი (ორჯერადი კვებით) და ტურნირის ბილეთებით. თბილისიდან გამგზავრება 20 მაისს. უკან დაბრუნება 27 მაისს.
საგზურის ღირებულება 760 ლარი.
ცნობებისათვის დარეკეთ 952781 294245

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

| | | | |
|---|---|---|---|
| უეფას თასის ფინალი. საპასუხო მატჩი 15 მაისი | | | |
| ბორდო — ბაიერნი | 1,9 | 2,6 | 2,6 |
| რუსეთის ჩემპიონატი. მე-12 ტური 15 მაისი | | | |
| ზენიტი — ცსკა | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ალანია — ლოკომოტივი (მოსკოვი) | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| ჰოლანდიის თასის ფინალი 16 მაისი | | | |
| სპარტა — ეინდჰოვენი | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| საერთაშორისო ამხანაგური მატჩი 18 მაისი | | | |
| ინგლისი — უნგრეთი | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| პორტუგალიის თასის ფინალი 18 მაისი | | | |
| სპორტინგი — ბენფიკა | 2,4 | 2,4 | 2,2 |
| იტალიის თასის ფინალი. საპასუხო მატჩი 18 მაისი | | | |
| ატალანტა — ფიორენტინა | 1,9 | 2,6 | 2,6 |

## ევროთასების მოპოვების ფსონები

### უეფას თასი

| | |
|---|---|
| ბაიერნი | 1,1 |
| ბორდო | 5,0 |

### ჩემპიონთა თასი

| | |
|---|---|
| იუვენტუსი | 1,6 |
| აიაქსი | 1,8 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დაზუსტეთ ადგილზე

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | 0-0 | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | 0-0 | 0-2 | 4-2 | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | 3-0 |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 1-3 | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | 1-0 | 1-0 | 4-1 | 1-1 | 2-2 | 1-0 | 1-0 | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | 2-2 | 0-0 | 0-0 | ■ | 0-0 | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | 3-1 | 1-1 | 2-0 | 0-1 | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | 1-3 | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | 2-0 | 1-2 | 0-0 | | 0-2 | 0-4 | 1-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | 0-3 | 1-2 | 2-1 | ■ | 1-1 | 1-2 | 3-1 | 0-0 | 0-1 | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-0 | 3-2 | 3-1 | | 1-3 | 0-2 | 1-0 | 3-1 |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | 0-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | 1-0 | 3-0 | 0-4 | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 3-1 | 2-1 | 2-1 |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | 1-2 | 3-0 | 2-0 | 1-1 | 4-1 | 1-1 | 2-1 | 0-1 | 3-1 | 2-3 | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | 0-3 | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | 2-0 | 1-2 | 1-4 | 0-0 | 2-4 | 3-2 | 0-2 | 1-3 | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | 2-0 | 1-2 | 1-1 | 1-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | 1-2 | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | 1-1 | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | 2-3 | 1-3 | 0-1 | | 1-1 | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 0-4 | 1-2 | 2-0 | 0-0 | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | 1-2 | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-3 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | 1-2 | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | 3-1 |
| 14 | REAL SOCIEDAD | 8-1 | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 2-1 | 3-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 1-0 | 0-1 | 5-2 | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | 2-3 | 2-3 | 1-5 | 0-0 | 5-0 | 2-5 | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | 2-2 | 3-1 | 3-1 | ■ | 4-0 | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | 2-4 | 2-2 | 1-3 | 2-1 | 1-0 | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | 5-0 | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 | | ■ | 0-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | 1-2 | 4-0 | 4-2 | ■ | 2-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | 1-0 | | 4-1 | 3-1 | 5-2 | 1-0 | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | 2-1 | 0-0 | 0-1 | 1-1 | 2-0 | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | 0-0 | 0-2 | 1-1 | 0-0 | 1-0 | 2-2 | 0-1 | 1-1 | 0-3 | 2-2 | 3-1 | 0-0 | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | 4-2 | 1-0 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 2-1 | 4-0 | 2-2 | | 1-1 | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | 1-0 | 0-2 | 1-0 | 0-2 | 0-1 | 0-1 | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 2-0 | 0-2 | 1-0 | 2-0 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | 0-0 | 0-1 | 2-0 | | 1-2 | 1-2 | 2-1 | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | 3-0 | ■ | 1-6 | 0-2 | 0-2 | 1-1 | 3-1 | 1-3 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | 3-4 | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | 1-0 | 1-2 | 1-1 | 2-0 | | 3-2 | 0-1 | 2-0 | 1-4 | 3-2 | 4-2 | 1-1 | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | 2-0 | 5-0 | 3-1 | ■ | 2-1 | 6-0 | | 3-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | 0-0 | 6-3 | 1-1 |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | 3-1 | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 3-2 | 1-1 | 1-2 | 2-1 | | 2-4 | 4-1 | 1-1 | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | 0-2 | ■ | 0-1 | 3-0 | | 1-3 | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | 0-3 | 2-2 | 1-0 |
| 7 | SC FREIBURG | 2-1 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | 1-1 | 0-3 | 2-1 | 0-0 | 0-3 | 2-0 | 1-0 | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | 1-2 | 3-2 | 2-2 | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | 2-1 | 2-0 | 1-1 | 1-1 | 2-0 | 2-0 | 1-2 | 1-1 |
| 9 | HAMBURGER SV | 2-2 | 0-0 | 2-1 | 2-2 | 2-1 | 5-1 | 0-0 | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | 0-0 | 2-2 | 1-0 | 1-1 | 3-0 | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | 1-0 | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | 1-0 | 0-0 | 2-0 | ■ | 3-0 | 1-1 | | 0-3 | 2-0 | 1-2 | 3-3 | 2-1 |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | 3-0 | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | 1-2 | 2-0 | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 1-1 | 0-0 |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | 5-0 | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | 3-1 | 0-2 | 0-0 | ■ | 1-0 | 1-1 | 2-2 | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | 0-0 | 0-2 | 3-0 | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | 0-1 | 0-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 2-2 | 1-2 |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | 2-1 | 0-2 | 2-2 | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | 5-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | 1-1 | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | 2-1 | | 0-1 | 0-3 | 0-2 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-1 | 3-2 | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | 2-0 | 1-3 | 1-2 |
| 16 | FC SCHALKE 04 | 1-1 | 1-1 | 2-1 | 1-2 | 3-3 | 2-0 | 3-0 | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | 2-0 | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | 0-1 | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | 2-3 | 3-0 | 1-1 | 2-0 | | 0-1 | 2-3 | 1-1 | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | 2-1 | 1-0 | 3-2 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | 2-2 | ■ |

რაგბი

საქართველოს XXIX პირველობა

მეექვსე ტური

10 მაისი

**აზოტი (0) 7-19 (10) ქორები**

მსაჯი კურატიშვილი

აზოტი — ლ: 15 ლ. ბერიშვილი; გ: 10 გოგიშვილი

ქორები — ლ: 6 კაცაძე; გ, 3ს, ა: 10 წეველიძე

**ლელო (10) 10-6 (6) დინამო**

მსაჯი აბაშიძე

ლელო — ლ, გ, ს. დინამო — ს, ა

**აია 48-0 გელათი**

11 მაისი. ვაკე

სინის მეშვიდე გათამაშება

**ყოჩები (9) 15-6 (0) გუმარი**

მსაჯი ნარიმანაშვილი (41 + 44 წუთი)

ყოჩები (მოცილე): ენუქიძე (მხეიძე, 72-75); ლიპარტელიანი (ბარძიმიშვილი, 54), საკანდელიძე, ჭეიშვილი, ნიკლაური; ტეფნაძე, გიორხელიძე; ჩიქავა, ჭავჭავაძე, ახვლედიანი (ი. ჭელიძე, 42); სულთანიშვილი (ჩიქოვანი, 78), გუშარაშვილი (გაგნიძე, 51); ზ. ლეჟავა, ურუშაძე, ტყეშელაშვილი (ცხვედიანი, 49). — 5ს: ტეფნაძე (3, 20, 37, 81, 85)

გუმარი (მფლობელი): მაჩიტიძე; ჯიმშელაძე, ჯანელიძე, ჩიქვინიძე, ბუგიანიშვილი; შ. მოდებაძე (ბ. იურინი, 42), ხუციშვილი; მთიულიშვილი, რობიტაშვილი, ბერიაშვილი (ცაბაძე, 7); პარნიკანაშვილი (ქერდიკაშვილი, 57), მჭედლიშვილი (ქერდიკაშვილი, 12-22); ობოლაძე, სორდია (მგელაძე, 70), დიდებულიძე (მაგრაქველიძე, 53). — 2ს: მაჩიტიძე (43, 69)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყოჩები | 6 | 6 | 0 | 0 | 161: 37 | 22- 2 | 12 |
| გუმარი | 6 | 5 | 0 | 1 | 231: 43 | 36- 2 | 10 |
| აია | 6 | 4 | 0 | 2 | 89: 21 | - 2 | 8 |
| ქორები | 6 | 3 | 0 | 3 | 124: 56 | 14- 4 | 6 |
| გელათი | 6 | 2 | 1 | 3 | 67:153 | 6- | 5 |
| აზოტი | 6 | 2 | 1 | 3 | 63: 73 | 8- 8 | 4 |
| ლელო | 6 | 1 | 0 | 5 | 48:153 | 4-22 | 2 |
| დინამო | 6 | 0 | 0 | 6 | 18:265 | 0-39 | 0 |

მეშვიდე ტური

დღეს: დინამო — აია, ქორები — ლელო. ხვალ: გუმარი — აზოტი, გელათი — ყოჩები

# ახალი თაობა, ახალი მფლობელი

ჩვენმა სინმა მისი მფლობელი „გუმარის“ მწვრთნელ გურამ მოდებაძის სახლის პარმალზე დაკიდულმა გამოიზამთრა, შაბათს კი ვაკეში მოასვენეს და წელს პირველად გაითამაშეს. „გუმარს“ შეერკინენ „ყოჩები“, რომლებიც მის მხარდამხარ უდანაკარგოდ ლიდერობდნენ ჩემპიონატს.

„გუმარი“ კაცთა ნაკრების ბირთვია, „ყოჩები“ — სტუდენტურისა. „გუმარის“ მწვრთნელი კაცთა ნაკრების მწვრთნელიცაა, „ყოჩების“ მოძღვარი ლაშა გეგენავა — სტუდენტურისაც, ამ გუნდის შუამარბი მალხაზ ჭეიშვილი კი თან საშვიდკაცო ნაკრების მწვრთნელია და თან წესრიგის კომიტეტის თავმჯდომარეც.

„გუმარის“ პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი და „ყოჩების“ ძველი მოთამაშე და ყოფილი მთავარი სპონსორიცაა, „ყოჩების“ პრეზიდენტი თემურ გაფრინდაშვილი კი გეგიძის ძველი თანაგუნდელი და ამჟამინდელი ბიზნეს-პარტნიორია.

ერთი სიტყვით, ამ დღეს ჩვენი სინისთვის შეიბა ის ორი გუნდი, ქართული რაგბის ახალ ტალღას რომ განასახიერებენ. დიდებულ დარში ხალხიც მრავლად შეიკრიბა ვაკეში — ერთი ათასამდე მოგროვდა. მოედანი ხასხასა მწვანე იყო, კარები — ქათქათა თეთრი, გუნდები და მსაჯი — პეწიანად შემოსილი, ძალუმად იგრძნობოდა სპორტული ჟინი და დაძაბულობა, მაგრამ, ვაი, რომ თავად რაგბის დონე გამოდგა მდარე. გურამ მოდებაძეს თამაშის შემდეგ ეს მოსაზრება რომ გავუზიარეთ, მოგვიგო, სავარჯიშო მოედანი რომ არა გვაქვს გუნდებს, ლამისაა მძლეოსნებად ვიქცეთ; მობურთალის უნარ-ჩვევებიც სულ მთლად გაუქრათ ბიჭებსო.

თამაშში ლელო არ გასულა, ომი კი „ყოჩებმა“ მოიგეს. ისინი „გუმარზე“ უკეთ დარაზმულნი ჩანდნენ და თავიდანვეც წინ გაიჭრნენ, ბესო ტეფნაძემ კი, შარშანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი რომ იყო, კარში დარტყმაში აჯობა სინის გათამაშების უპირველეს ბომბარდირ კახა მაჩიტიძეს.

ბურთაობა ერთობ ჭირდა. „ყოჩებმა“ „გუმარს“ შესვენებამდე გასაქანი თითქმის არ მისცეს და ცხრა ქულა აართვეს, მეორე ნახევრის საწყის ნახევარ საათში კი სინის მფლობელთა მიძალებას გაუძლეს, თუმცა კი 6 ქულა გაუშვეს. ამ პერიოდში ბევრი მოთამაშე შეიცვალა, ერთადერთი სალელოე შანსი კი სოსო პარწიკანაშვილს მიეცა, დერეფანში ალებული ბურთით კინაღამ რომ უწია „ყოჩების“ კარის ხაზს.



კრიტიკულ მომენტში — სხვაობა სამი ქულა რომ იყო, ბოლო სასტვენამდე კი ათი წუთი რჩებოდა, ტეფნაძის გამოსობით „ყოჩები“ ისევ გაყოჩაღდნენ, „გუმარი“ კი პანიკამ მოიცვა და მიამიტური შეცდომები დააშვებინა. მატჩის ბოლომდე თამაში „გუმარის“ ნახევარზე მიმდინარეობდა და „ყოჩებმაც“ აღადგინეს პირველი ტაიმის შემდგომი სტატუს-ქვო.

„გუმარმა“ მეორედ დაკარგა სინი, „ყოჩებმა“ — პირველად მოიპოვეს. სტადიონის მესერზე ჩამოკიდებულ ჯილდოსთან პირველმა მიირბინა ირაკლი ჩიქავამ, წელს „ყოჩი“ რომაა, შარშან კი „გუმარში“ ოთხჯერ რომ მოიპოვა სინი, და ამერის უძლიერესი გუნდობის დასტური თავისი ახალი გუნდისკენ გაიტაცა.

ზაზა ფხაკაძე

## დამრტყმელთა შეჯიბრი



# მხიარული ირლანდიელები

## ედი ჯორდანი და მისი გუნდი




ფორმულა-1-ში თითებზე ჩამოსათვლელია გუნდები, რომლებიც დებიუტის წელს არ შეეპუენ ლიდერთა ავტორიტეტს და აქტიურად ჩაებნენ ქულებისათვის ბრძოლაში. ერთ-ერთი მათგანია „ჯორდან გრან-პრი თიმ", რომლის პილოტებმაც პირველსავე წელს „მაკლარენის", „უილიამსის", „ფერარისა" და „ბენეტონის" შემდეგ დაიმკვიდრეს ადგილი. გუნდის მომსახურე პერსონალმაც, მეტწილად ირლანდიელი რომაა, სახელი გაითქვა მხიარულებითა და ხმაურით. ამათ ოინბაზობას აქტიურად უბამენ მხარს პილოტებიც. თვით გუნდის შეფი — ქერა, სათვალიანი, გამხდარი ირლანდიელი ხალისით მონაწილეობს ფორმულა-1-ის ნებისმიერ გასართობ ღონისძიებაში: ფეხბურთი იქნება თუ როკ-კონცერტი. ჯორდანი დიდი მონდომებით უკრავს დასარტყამ საკრავებზე.

**ედი ჯორდანი** ავტოსპორტში ბედნიერი შემთხვევის წყალობით მოხვდა. თავიდან, როცა მისი თანატოლები კარტინგებით დაგრიალებდნენ, ედი მშობლებს ბეჯითი სწავლით ახარებდა ჯერ სკოლაში, შემდეგ კი კომერციულ კოლეჯში, სადაც ფინანსებსა და მენეჯმენტს ითვისებდა. მერე ჯორდანი ირლანდიის ბანკის მოსამსახურე გახდა, ერთ-ერთი მივლინების დროს კარტინგების რბოლაზე მოხვდა და მიხვდა, რომ მის ცხოვრებას მანამდე რაღაც აკლდა. ჯორდანი არც დაფიქრებულა, დუბლინში დაბრუნებულმა ისე გაცვალა ბანკი კარტოდრომზე და მიუხედავად იმისა, რომ ავტოსპორტში საკმაოდ გვიან, 24 წლისა მივიდა, ორი წლის შემდეგ ირლანდიის ჩემპიონი გახდა კარტინგში. ამის შემდეგ ედი მაღლა, ფორმულა „ატლანტიკში" გადავიდა და იქაც წარმატებას მიაღწია.

გულმიცემული ჯორდანი ინგლისში გადაბარგდა და ჯერ ფორმულა-3-ში, შემდეგ კი ფორმულა 2-ში „თიმ აილენდის" ღირსებას იცავდა 22 წლის შვედ სტეფან იოჰანსონთან ერთად. იგი „მაკლარენის" (ფორმულა-1) ბოლიდის ტესტირებაზეც მიიწვიეს, მაგრამ ასაკის გადამკიდეს რომელიმე გუნდში მოხვედრის იმედი არც ჰქონია. ჰოდა, 1980 წელს საკუთარი გუნდი „ედი ჯორდან რეისინგ" ჩამოაყალიბა და ავტოსპორტის მწვერვალებისკენ დაიძრა: 1983-90 წლებში წარმატებით მონაწილეობდა ბრიტანეთის ფორმულა-3-ის და ფორმულა-3000-ის საერთაშორისო ჩემპიონატებში, 1990 წელს კი დააარსა „ჯორდან გრან პრი თიმ" და ფორმულა 1-ში დებიუტისათვის მზადებას შეუდგა.

დებიუტის წელს (1991), როდესაც „მაკლარენი" (სენა, ბერგერი), „უილიამსი" (მენსელი, პატრეზე), „ფერარი" (პროსტი, ალეზი) და „ბენეტონი" (პიკე, მორენო) ერთმანეთს პირველობას ეცილებოდნენ, ხოლო „ტირელის", „ლოტუსის" და „ლიჟიეს" პილოტები ყოველ ღონეს ხმარობდნენ ქულების მოსაპოვებლად, დებიუტანტის პილოტებმა ნელ-ნელა დაიწყეს ქულების გროვება და სეზონი „დიდი ოთხეულის" კვალად, საპატიო მეხუთე ადგილზე დაამთავრეს. სწორედ მაშინ მოხდა „ჯორდანის" შემადგენლობაში მიხაელ შუმახერის დებიუტი (ბელგიის დიდი პრიზზე).

პირველი წარმატება (საუკეთესო დრო წრეზე, რბოლისას) გუნდს ბერტრან გაშომ მოუტანა (ჰუნგარორინგი, უნგრეთის დიდი პრიზი). შემდეგ მოვიდა ბარიჩელოს „პოული" და პირველი პოდიუმიც, მაგრამ იყო ჩავარდნებიც. ბიუჯეტის სიმცირე რომ არა, წარმატება მეტი იქნებოდა.

გუნდის ტექნიკური დირექტორი **ბარი ანდერსონი** ავტოსპორტში 1972 წლიდანაა. თუმც მან თავიდან ნაკლებად პრესტიჟული თანამდებობა — მეორე პილოტის მეორე მექანიკოსობა მიიღო, ორი წლის შემდეგ უკვე გუნდის შეფ-მექანიკოსი გახდა, კიდევ ერთი წლის შემდეგ კი ცნობილმა კონსტრუქტორმა გორდონ მარიმ „ბრებჰემ-ალფა-რომეოს" დაპროექტებაში სამონაწილეოდ მიიწვია. შემდეგ დადგა გორდონ კოპაკთან „მაკლარენში" სწავლის დრო (1978-79 წლები), მაგრამ დამოუკიდებელ მუშაობას მოწყურებულმა ირლანდიელმა საკუთარი ფირმა „ენსონ რეისინგ" დააარსა. ანდერსონი კომპოზიტური მასალების გამოყენების ერთ-ერთი პიონერი და სხვადასხვა აეროდინამიკური ხრიკების გამომგონებელი გახდა, მისი ფირმა კი ბევრ გუნდს დაეხმარა ბოლიდის თვლების გზასთან შეჭიდულობის გამაუმჯობესებელი გრაუნდ-ეფექტის დანერგვისას.

1985-87 წლებში ანდერსონმა ინდიკარი მოსინჯა, ევროპაში დაბრუნებულმა კი ფორმულა-3000-ის გუნდ „ბრომბლის" მთავარი ინჟინრის პოსტი დაიკავა. მის მიერ გაუმჯობესებული „რეინარდის" შასით რობერტო მორენო ფორმულა-3000-ის ჩემპიონი გახდა. ამ წარმატებამ ადრიან რეინარდის ყურადღება მიიპყრო და გერიც ალმოჩნდა მის საკონსტრუქტორო ბიუროში, სადაც სპეციფიური პრობლემა დაუყენეს: ტექნიკური ღირსებების გარდა ბოლიდები სიიაფითაც უნდა ყოფილიყვნენ გამორჩეულნი. სწორედ აქაური გამოცდილება გამოადგა ანდერსონს, ედი ჯორდანმა 1990 წელს „ჯორდან 191"-ის შესაქმნელად რომ მიიწვია. მის პირველ ქმნილებას კონცეპტურად ბევრი რამ საერთო ჰქონდა გასაიდუმლოებულ „უილიამს-14"-თან, მაგრამ მაინც სრულიად დამოუკიდებელი კონსტრუქცია იყო.

ანდერსონის ყურადღება მიიპყრო „უილიამსის" ამ მოდელის წინამორბედმა და იგი ბაზისად აიღო, რაზედაც მისი წინა სპოილერის აღნაგობაც მეტყველებს. სწორედ ამგვარი კონსტრუქციული ეშმაკობები აძლევდა პილოტებს მცირე სიმძლავრის „ფორდის" ძრავით ქულების მოპოვების შანსს. მერე და მერე, კონსტრუქტორი ეცადა გამოესწორებინა ეს ნაკლი, ოთხი წლის განმავლობაში ავტოებზე სამი ტიპის („იამაჰა", „ჰარტი", „ფორდი") ძრავიც დამონტაჟდა, მაგრამ მათაც რომ ვერ გაამართლეს, 1995 წლიდან „ჯორდანი" მეტად პერსპექტიული „პეჟოს" მოტორით აღიჭურვა.

ანდერსონის მთავარ ღირსებას კონკურენტების მიღწევებისადმი ყურადღება, მათი ანალიზი [illegible] გადაღება [illegible] წლევანდელი ბოლიდი [illegible] 196"-ია [illegible] ალნიშნავს, რომ ახალი მოდელი ძირითადად სამი ნიშნით განირჩევა წინამორბედისაგან: განსხვავებული კოკპიტით, აწეული ცხვირითა და ძრავის გაციების განსაკუთრებული სისტემით. თუ პირველი მათგანი ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისადაა შექმნილი, მეორე „უილიამსისა" და „ბენეტონის" წარმატებებმა განაპირობა, მესამე კი თვით კონსტრუქტორის ნაზრევია და დღეს ანალოგი არ გააჩნია: თითოეულ გვერდით პონტონზე ჰაერის მისაწოდებლად ორ-ორი ჭრილია გაკეთებული; აქედან ცალკე არხებს ჰაერი ცალკე რადიატორებისკენ მიყავთ, რითაც გაციების სისტემა უმჯობესდება. გარდა ამისა, ზოგ ტრასაზე ბოლიდზე „შუა ფრთასაც" ამონტაჟებენ, რაც მოსახვევებში მეტ სტაბილურობას სძენს მანქანას, მაგრამ სწორ მონაკვეთებზე სიჩქარეს კი უმცირებს.

„ჯორდანის" ერთ-ერთი თავისებურება შვიდსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფია. ეს საშუალებას იძლევა, უფრო ეფექტურად იქნას გამოყენებული ძრავის შესაძლებლობა, ნახევრადავტომატური გადამრთველი კი პილოტებს დამღლელი სამუშაოსგან ათავისუფლებს.

წელს „ჯორდანი" იმედს ახალგაზრდა და პერსპექტიულ რუბენს ბარიჩელოზე (ბრაზილია) და გამოცდილ მარტინ ბრანდლზე (ბრიტანეთი) ამყარებს. ბრაზილიელის სისწრაფემ და აგრესიულობამ და ბრიტანელის სტაბილურობამ შედეგი უნდა მოიტანოს. თუმცა საწყის სამ ეტაპზე გუნდმა მხოლოდ 3 ქულა მოიპოვა, ამასთან პირველი და მეორე ეტაპები ვერც ერთმა პილოტმა ვერ დაამთავრა, ახალი სპონსორის — მეთამბაქოე „ბენსონ ენდ ჰეჯისის" (B&H) გამოჩენამ ირლანდიელთა გუნდს 20 მილიონამდე დოლარი მოუტანა, ბოლიდები კი **ყვითლად** გადაალებინა. დიდძალი ფულის მიზიდვა გვაფიქრებინებს, რომ გუნდი ახლა კი მიაღწევს სტაბილურობას და პილოტებიც ფრიადი ადგილებისთვის იბრძოლებენ.

### „ედი ჯორდან გრან-პრი თიმ"

| | | | |
|---|---|---|---|
| 1991 | ანდრეა დე ჩეზარისი, ბერტრან გაშო, რობერტო მორენო, მიხაელ შუმახერი, ალესანდრო ზანარდი | 13 ქულა | V ადგილი |
| 1992 | სტეფანო მოდენა, მაურიციო გუჯელმინი | 1 ქულა | XI ადგილი |
| 1993 | რუბენს ბარიჩელო, ივან კაპელი, ტერი ბუტსენი, მარკო აპიჩელა, ემანუელ ნასპეტი, ედი ირვინი | 3 ქულა | X ადგილი |
| 1994 | რუბენს ბარიჩელო, ედი ირვინი, აგური სუძუკი, ანდრეა დე ჩეზარისი | 28 ქულა | V ადგილი |
| 1995 | რუბენს ბარიჩელო, ედი ირვინი | 21 ქულა | VI ადგილი |
| 1996 | რუბენს ბარიჩელო, მარტინ ბრანდლი | | |

ალეკო ჭაბუკიანი



# კარატე-დო — ცარიელი ხელის გზა

ცნობილია, რომ XVIII საუკუნის შუა ხანებში მავანმა იაპონელმა საკუგავამ, რომელიც რამდენიმე წელი ცხოვრობდა ჩინეთში და იქაურ საბრძოლო ხელოვნებებს ეუფლებოდა, სამშობლოში დაბრუნებისთანავე ქალაქ სიურში ჩამოაყალიბა კერძო სკოლა კარატე-ნო საკუგავას სახელწოდებით. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ორთაბრძოლის სკოლის დასახელებაში გამოიყენეს სიტყვა „კარატე".

XX საუკუნემდე სიტყვა „კარატე" ოკინავაზე იწერებოდა ორი იეროგლიფით: „კარა" ანუ „დიად ჩინეთ", „ტე" — „ხელი".

თანამედროვე სპორტული კარატეს მამამთავარმა, შოტო-კან-კარატეს დამფუძნებელმა, დიდმა ოსტატმა გიჩინ ფუნაკოშიმ და მისმა თანამდგომმა პირებმა იეროგლიფ „კარა"-ს შეუცვალეს შინაარსი — ფაქტიურად, ახალი შინაარსის იეროგლიფი შემოიტანეს ისე, რომ არ შეუცვლიათ მისი წარმოთქმის ფორმა.

აი, რას წერს თვითონ გიჩიინ ფუნაკოში: „ტრადიციულად, წარსულში მეც ვიყენებდი იეროგლიფ „კარა (ჩინეთი)"-ს, მაგრამ იმის გამო, რომ ადამიანებს ერევათ ერთმანეთში კარატე და ჩინური კემპო, აგრეთვე იმიტომაც, რომ ოკინავური საბრძოლო ხელოვნებები ახლა შეგვიძლია ჩავთვალოთ საერთოიაპონურად, არასწორი და დამამცირებელი იქნებოდა, იეროგლიფი „ჩინეთი" კვლავ სიტყვა „კარატეში" გამოგვეყენებინა. პროტესტის გამო ჩვენ უარვყავით ძველი იეროგლიფი და შევცვალეთ იგი ახლით — „სიცარიელე".

როგორც ვხედავთ, მივიღეთ ახალი შინაარსის იგივე ფორმის დასახელება — კარა-ტე, რაც „ცარიელ ხელს" ნიშნავს.

როდესაც ეს შესანიშნავი საბრძოლო ხელოვნება გასცდა იაპონიის ფარგლებს და ელვის სისწრაფით მოედო მსოფლიოს, დასახელება კარა-ტეს (ცარიელი ხელი) ათასნაირ განმარტებას უძებნიდნენ: „უიარაღო ხელი", „შიშველი ხელი", „ორთაბრძოლა შიშველი ხელით" და ა. შ.

საზოგადოებას ჩამოუყალიბდა ძალზე მცდარი შეხედულება დასახელებაზე „კარა-ტე" და ამ ორთაბრძოლის შინაარსზე: რატომღაც დღესაც ბატონობს აზრი, რომ ჭეშმარიტი კარატისტი, კარატეს დასახელებიდან („ცარიელი ხელი") გამომდინარე, არავითარ შემთხვევაში არ წაავლებს იარაღს ხელს, რა მდგომარეობაშიც არ უნდა ჩავარდეს იგი.

ისეთ ცხოვრებისეულ შემთხვევებსაც გიამბობენ, უკეთეს შემთხვევაში ღიმილს რომ მოჰგვრის საქმეში ჩახედულ კაცს: მაგალითად, მავან კარატისტს ქუჩაში მძარცველები დახვდნენ, გაძარცვეს, ერთი-ორიც წამოარტყეს და ისე გაუშვეს სახლში, მან კი იმიტომ გაძარცვინა და აცემინა თავი „ქუჩის ბიჭებს", თავის სკოლაში ხელი აქვს მოწერილი ქაღალდზე — ქუჩაში არავითარ შემთხვევაში არ ვიჩხუბებო.

ისეთ ამბავსაც მოგიყვებიან, გაკვირვებისგან პირს დაგაფჩენინებენ კაცს: ესა და ეს კარატისტი მეგობართან ერთად ქუჩაში მიდიოდა, მათ ხულიგნები დახვდნენ და ატყდა შეხლა-შემოხლა. ჩვენმა „გმირმა" კი ოლიმპიური სიმშვიდით აარიდა თავი დავიდარაბას და უყურებდა, როგორ გაიგდეს წიხლქვეშ მისი მეგობარი...

დავუბრუნდეთ ჩვენს სათქმელს:

კარა-ტე, როგორც ორთაბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, საბრძოლო ხელოვნებაა და ამად დარჩება. მისი ერთ-ერთი მთავარი პრინციპთაგანია — ძალა, როგორც უკანასკნელი საშუალება, გამოიყენო იქ, სადაც ჰუმანურობა და სამართლიანობა ვერ იმარჯვებს, ხოლო სანამ ორთაბრძოლაში ჩაებმებოდი, კარგად უნდა მოიფიქრო და არ აამოქმედო მუშტები აუცილებლობის გარეშე, ხოლო მუშტის ამოქმედება ნიშნავს „იკკენ-ჰისაცუ"-ს — ერთი დარტყმით მოსპობას.

იეროგლიფი „კარა" (ცარიელი, სიცარიელე) არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ, როგორც „უიარაღო", „შეუიარაღებელი".

ძველი აღმოსავლეთის რელიგიურ-ფილოსოფიურ მიმდინარეობებში ხშირად ფიგურირებს ცნება „სიცარიელე", „ცარიელი", „დიადი სიცარიელე", რომელსაც შინაარსობრივად უფრო რთული დატვირთვა აქვს. „სიცარიელეში", აღმოსავლური გაგებით, იგულისხმება სამყარო, მარადიულობა, ქვეყნიერება. ნებისმიერი საგნის გამოყენების აზრი მასში არსებულ სიცარიელეში დევს. ჭურჭლის გამოყენების შინაარსი მასში არსებული სიცარიელით განისაზღვრება, სახლის გამოყენების შინაარსი — მის კედლებს შორის არსებული სიცარიელით და ა. შ.

აღმოსავლური გაგებით, როდესაც შეგირდი მასწავლებელთან ცოდნის მისაღებად მიდის, მან უნდა „დააცარიელოს" თავისი პიროვნება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში დაემსგავსება ოქრო-ვერცხლით სავსე წყლის ჭურჭელს, სადაც უბრალო წყლისთვისაც აღარ არის ადგილი.

ერთ-ერთ ფილმში ასეთი სიუჟეტია: ფრიად განათლებული პიროვნება, პროფესორი, ჭეშმარიტი სიბრძნის მისაღებად ბევრს მოგზაურობს და ბოლოს მიადგება ერთ მასწავლებელს. მასწავლებელსა და ცოდნის მაძიებელს შორის გაიმართება დიალოგი. პატივცემული პროფესორი ჩამოთვლის თავის ტიტულებს და მეცნიერულ მიღწევებს. მასწავლებელი დინჯად იღებს ჩაიდანს და ჩაით უკვე სავსე ლამბაქში უსხამს ჩაის პროფესორს, ჩაი იღვრება, მაგრამ მასწავლებელი აგრძელებს თავის საქმეს. პროფესორი გაკვირვებული უყურებს ოსტატს და ბოლოს „ახსენებს" მას, რომ მისი ლამბაქი სავსეა და ჩაი უმიზნოდ იღვრება მაგიდაზე. მასწავლებელი წყვეტს სტუმრის „მომსახურებას" და პროფესორს ეუბნება, რომ იგი მზად არ არის მისგან ცოდნის მისაღებად.

შეურაცხყოფილი პროფესორი მასპინძელს ისევ ახსენებს თავის ტიტულებს და დამსახურებას.

მასწავლებელი მშვიდად უსმენს ამ „საპროტესტო გამოსვლას" და საუბრის ბოლოს უხსნის მოსაუბრეს, რომ უპირველესი მიზეზი ბატონი პროფესორის „მოუმზადებლობისა" ჭეშმარიტი ცოდნის მისაღებად არის ის, რომ მასში არ არის სიცარიელე, ისევე, როგორც ამ ლამბაქში.

მკითხველმა ისე არ უნდა გაიგოს, თითქოს ყოველგვარი ადრინდელი ცოდნა და ცხოვრებისეული გამოცდილება უარსაყოფია, მაგრამ თუ მოწაფემ გული არ გაიხსნა და არ შექმნა სიცარიელე საკუთარ თავში მისკენ მომავალი ცოდნისათვის, რარიგ მაღალი განვითარების, დონისა და მონდომების მასწავლებელიც უნდა შეხვდეს, ყოველგვარი სწავლა უნაყოფოდ ჩაივლის.

ალბათ, მკითხველმა სწორად გაიგო გამოთქმა „ცარიელი ხელი"-ს მნიშვნელობა, იმ „ცარიელი ხელი"-სა, რომლის კანონშიც წერია: „არასოდეს ჩაება ბრძოლაში კეთილშობილური მიზნის გარეშე, ან ისე, თუ შენს სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. კარატე ხვრევის იარაღია, მაგრამ მის ჩამომყალიბებელთათვის ის იყო შემოქმედების იარაღი, ადამიანის ჩამოყალიბების პირობა, მისი სულის, სხეულის, ფორმისა და შინაარსის დასახვეწი საშუალება".

ჭეშმარიტი კარატეს შესასწავლი სისტემა აბსოლუტურად განსხვავდება როგორც სპორტისგან, ისე, მაგალითად, სადესანტო ჯარის ნაწილების საბრძოლო-მოსამზადებელი ხელჩართული ორთაბრძოლებისგან. დროთა განმავლობაში კარატე, როგორ სხვა საბრძოლო ხელოვნებები, გამოიყენეს სპორტულ შეჯიბრებებში, სისხლისმღვრელ კომერციულ ორთაბრძოლებში, მაგრამ არც ერთი, არც მეორე, არ განსაზღვრავს ამ ბრწყინვალე საბრძოლო ხელოვნების ჭეშმარიტ დედაარსს. დღეს მსოფლიოში უფრო ხშირად კარატეს „გაევროპულებული" და „გაამერიკულებული" ვარიანტები გვხვდება. ამ ნათქვამის ნათელსაყოფად გავავლოთ პარალელი ევროპულ და აღმოსავლურ საბრძოლო ხელოვნებების არსს შორის: ევროპული ორთაბრძოლები, რომლებიც სხვადასხვა (თუნდაც მრავალფეროვან) ილეთთა ერთობლიობას წარმოადგენდნენ, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისთანავე დეგრადაციის გზას დაადგნენ და საბოლოოდ გაქრნენ კიდეც, აღმოსავლური ორთაბრძოლები კი დღემდე იმავე ტრადიციებს აგრძელებენ, რომლებსაც საუკუნეების წინათ ქადაგებდნენ.

კარატეს ათვისებით „იხსნება" ადამიანის თვითშემეცნების უნარი, იგი თავისი შინაგანი ბუნებით უფრო უახლოვდება ცოცხალ ბუნებას, საერთოდ ხელოვნებას, სიკეთეს, მშვენიერებას. იმავდროულად, ადეპტი წლების განმავლობაში დაუღალავი შრომის წყალობით ხდება უშიშარი მებრძოლი, სულით ძლიერი პიროვნება.

წარსულში ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში საბრძოლო ხელოვნებას უპირველესი ადგილი ეკავა არა მარტო იმიტომ, რომ იგი ნებისმიერი თავდასხმათავდაცვისთვის ყოფილიყო მზად, არამედ ამ საბრძოლო ხელოვნების მეშვეობით გაეგო ცხოვრების აზრი, ეპოვნა საკუთარი „მე", თავისი კუთვნილი ადგილი სამყაროში, გაეგო სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებანი, საბრძოლო ხელოვნების მეშვეობით გაეგო შეცდომის ფასი. ორთაბრძოლისას მებრძოლს შეცდომის უფლება არა ჰქონდა: დროის უმცირეს მონაკვეთში წყდებოდა სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი...

ამერიკა-ვიეტნამის ომის თაობაზე დღესაც ბევრს ლაპარაკობენ, ზუსტად არავინ იცის, რა იყო ამ ომში ამერიკის დამარცხების მიზეზი.

სხვა მრავალ მიზეზთან ერთად ეს არის ვიეტნამელი ჯარისკაცის საბრძოლო სულის გამარჯვება ამერიკელი ჯარისკაცის საბრძოლო სულზე. ეს კი მოიტანა ვიეტნამელი ერის, აქედან გამომდინარე, ჯარისკაცის ბავშვობიდანვე საბრძოლო ხელოვნებით გაწვრთნამ (როგორც ცნობილია, ამ ქვეყანას, იაპონიის, ჩინეთის, კორეის, ლაოსის და აღმოსავლეთის სხვა ქვეყანათა მსგავსად, თვითმყოფადი საბრძოლო ხელოვნებები გააჩნია).

ძალაუნებურად გადავუხვიეთ ჩვენს ძირითად თემას, თემას იმ დიდი საბრძოლო ხელოვნების შესახებ, რომლის მნიშვნელობაც იაპონელი ერის სულის ჩამოყალიბების საქმეში უდაოდ დიდია და მას იაპონიის მთავრობა სათანადო ყურადღებას აქცევს. იაპონური სულის სიძლიერე კი საქვეყნოდ არის ცნობილი. მაგალითისთვის ისიც იკმარებს, რომ პირველი ძალა, რომელმაც თათარ-მონღოლ-ჩინელთა უზარმაზარი კოალიციური ლაშქრის წინსვლა შეაჩერა, იაპონელი სამურაი იყო — მან ორჯერ (ნაწილობრივ „კამიკაძე"-ს დახმარებით) სასტიკად დაამარცხა მტერი.

გავიხსენოთ ჰიროსიმა, ნაგასაკი, ატომური ბომბისგან ფერფლად ქცეული და განადგურებული იაპონია.

აქაც გამოჩნდა ძველი სამურაების გენი, აქაც იჩეიმა იაპონელთა მებრძოლმა სულმა და იაპონია ფენიქსივით აღდგა ფერფლისგან. ქალღმერთ ამატერასუს ქვეყანას ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავია დღევანდელ მსოფლიოში.

იაპონური „ბუსი"-ს (მებრძოლი) სულის ჩამოყალიბებაში დღესდღეობით კარატე ერთ-ერთ თვალსაჩინო როლს ასრულებს. სხვა იაპონურ საბრძოლო ხელოვნებებთან ერთად იგი ისწავლება, როგორც სავალდებულო დისციპლინა.

ამ საქმის დამწყები ჩვენში არის თბილისის 56-ე სკოლასთან არსებული კერძო სკოლა „ჯეჯილი" და საბრძოლო ხელოვნების შემეცნების კლუბი „ბონსაი", რომლის სპეციალისტებიც ზემოთ აღნიშნულ სკოლაში წელიწადზე მეტია კარატეს საიდუმლოებებს აზიარებენ ჩვენს მოზარდებს.

კლუბი „ბონსაი" არც უმაღლეს სასწავლებლებს გამორჩათ მხედველობიდან. მისი დახმარებით სულ ახლახან საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის თელავის ფილიალმა კარატე თავის სასწავლოსავალდებულო დისციპლინად აქცია.

კახაბერ მარქოზაშვილი

საბრძოლო ხელოვნების შემეცნების კლუბ „ბონსაის" თავმჯდომარე, აშშ-ის ქალაქ მალდენში 1995 წელს გამართული „კონტაქტური" საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული, შავი ქამრის მესამე დანის მფლობელი.

# სამი ცემა-ტყეპა კრივის მექაში

პარასკევს დიდი კრივი იყო ნიუ-იორკის „მედისონ სქვეარ გარდენში", პრომოუთერმა დინო დუვერმა კრივის მექა რომ უწოდა — წარსულის დიდი ჩხუბების მომსწრე არენაზე გაიმართა მძიმეწონოსანთა ერთბაშად სამი არა-საჩემპიონო შერკინება, რომელთა მონაწილენიც მაიკ ტაისონთან შებმასა და დიდძალი ფულის შოვნას იმედოვნებენ.

რინგზე მსოფლიოს სამი ექს-ჩემპიონი იხილა საზოგადოებამ: ლენოქს ლუისი, ევანდერ-ჰოლიფილდი და თიმ ვიზერსპუნი. პირველი ეკრივა რეი მერსერს, მეორე — ვეტერან ბობი ჩეერსს, ხოლო მესამე — ექს-კუბელ ხორხე-ლუის გონზალესს.

მთავარი მაინც ლუისის შერკინება იყო, რაკილა სასამართლოს განჩინებით მასა აქვს ტაისონთან შებმის უპირატესი უფლება. გარდა ამისა, ლუისიცა და მერსერიც სეულის 1988 წლის ოლიმპიადის ჩემპიონები არიან: ლუისმა მაშინ ზემძიმე წონა მოიგო, მერსერმა — მძიმე. ამან მერე, 1991 წელს, პროფესიულ რინგზე აწ უკვე შიდსიანი თომი მორისონიც დაანოკაუტა, მაგრამ ლოთობამ და არჩეინობამ დარია ხელი და შარშანდლემდე ჩამოწერილად მიიჩნეოდა. მერე იყო და მერსერი ათი რაუნდი გაუმკლავდა ჰოლიფილდს, კარიერაში კი ნოკაუტი ჯერაც არ უწვნევია.

ლუისი მერსერზე მაღალი და 11 გირვანქითაც მძიმე იყო, მაგრამ მეტოქეს ვერაფერი დააკლო. ათი რაუნდი სასტიკ მუშტი-კრივში გაილია. მერსერი ბოლოს მაინც დაიღალა. ერთმა მსაჯმა ფრე გამოაცხადა, მეორემ ლუისს გაამარჯვებინა ერთი რაუნდით, მესამემ — მასვე, ორი რაუნდით. მოკლედ, ლენოქს ლუისმა ქულებითღა გაიმარჯვა, ოღონდ არა-ერთხმად.

დანარჩენი ორი ჩხუბი ნოკაუტით დამთავრდა. ჰოლიფილდმა მეხუთე რაუნდში მოუღო ბოლო ჩეერსს, 38 წლის ვიზერსფუნმა კი, ჩემპიონი ამ ათი წლის წინ რომ იყო, გონზალესი მაშინ დასცა, მეხუთე რაუნდის დასრულებას 6 წამი რომ უკლდა.

სამოყვარულო კრივში ატლანტაში სიახლეს დანერგავენ, ვინაიდან მსაჯობის ელექტრონული სისტემა ვერ ამართლებს.

ამ სისტემით მოკრივეს ქულა მაშინ ეწერება, როცა ხუთიდან მინიმუმ სამი მსაჯი ღილაკს ერთდროულად დააჭერს თითს, აქაოდა დარტყმა შედეგიანი იყოო. ამასთან, ანგარიში ჩხუბის დროს წერია ტაბლოზე.

ამგვარი საჯაროობა ცუდი ყოფილა. როგორც სამოყვარულო კრივის შეფს — ანვარ ჩაუდრის ულიარებია, ანგარიში მოქმედებს მსაჯებზე და ესენიც იმ მოკრივესლა უთვლიან დარტყმებს, ვინც წინ გაჭრილაო. ამასთან, ამ სისტემას კრივი არითმეტიკამდე დაჰყავს, სტილი და ტაქტიკა კი გაუთვალისწინებელი რჩებაო.

ატლანტაში სიახლე იქნება მხოლოდ ის, რომ აპარატურის მიერ აღნუსხულ ანგარიშს შერკინების დასრულების შემდეგღა აანთებენ ტაბლოზე. რაც შეეხება უკეთესი სტილისთვის დამატებითი ქულების დარიცხვას, ამგვარი სისტემის შექმნაზე კი მუშაობს ჩაუდრის ხალხი, მაგრამ იდეის ხორცშესხმა საატლანტოდ ვერ მოესწრება.

ვალერი ჯიქია


ლენოქს ლუისს ერთობ გაუძალიანდნენ

# ჯეელთა ბენეფისი

წინა კვირის სამი უმთავრესი ტურნირიდან სენსაციურად დასრულდა ჰამბურგისა, „პანასონიკის" გერმანიის ღია პირველობა რომ ერქვა, ფრიადი საპრიზო ფონდი ჰქონდა და წელს შემოღებული „ზე-ცხრის" ერთ-ერთი ეტაპიც იყო.

გაიმარჯვა 20 წლის ნაწნავიანმა ესპანელმა რობერტო კარეტერომ, მსოფლიოს 143-ე ჩოგანი რომ იყო და ჰამბურგის ძირითად შეჯიბრში შესარჩევი ტურნირიდან მოხვდა, რის გამოც სულ ცხრა თამაშის გამართვა მოუწია. გერმანიის პირველობის მოგებით კარეტერომ კლასიფიკაციის ზემო 60-ეულში შეაღწია.

ფინალამდე კარეტერომ ოთხი განთესილი შეიწირა: მალივაი ვოშინგთონს (აშშ, 10) 6:1, 6:0 მოუგო, მერე ფრანგ არნო ბეჩსაც აჯობა, მეოთხედფინალში 4:6, 6:4, 6:4 დაამარცხა ავსტრიელი გილბერტ შალერი, ნახევარფინალში — რუსი ევგენი კაფელნიკოვი (3) 7:5, 6:2, ფინალში კი ასევე განუთესელ თანამემამულესა და ძმობილ ალექს კორეჩას 2:6, 6:4, 6:4, 6:4 აჯობა და მერე კარგა ხანს ეამბორა კიდეც.

მოკლედ შეკრეჭილმა კორეჩამ ნახევარფინალში 6:4, 6:4 მოუგო უფრო ცნობილ ნაწნავიანს — მარსელო რიოსს (ჩილე, 5), მეოთხედფინალში კი შვედი მაგნუს ლარსონი 6:1, 6:4 დაამარცხა. ამავე ეტაპზე კაფელნიკოვმა 6:2, 7:6 გააგდო ესპანელი სერხი ბრუგერა, რიოსმა კი ორ ხელში მოუგო სამხრეთაფრიკელ ვეინ ფერერას.

პირველ ნომრად განთესილმა ბორის ბეკერმა ვერც ამჯერად ივარგა თიხაზე — მერვედფინალი ქარსა და სიცივეში 2:6, 2:6 წააგო შალერთან, რომელიც, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, გამარჯვებულთან დამარცხდა.

ამ კვირაში რომის „ფორო იტალიკოზე" ვაჟები იასპარეზებენ. არ იქნებიან მაიკლ ჩანგი და ანდრე აგასი; არც პიტ სამპრასი, განსვენებულ მწვრთნელს რომ გლოვობს. სამაგიეროდ, იტალიის ჩემპიონობის მოსაპოვებლად ითამაშებენ ბრუგერა, კაფელნიკოვი, ჯიმ კურიე (აშშ) და თვით თომას მუსტერი (ავსტრია). ამ ბოლო ორს ორ-ორჯერ გაუმარჯვნია რომში, სადაურებიც წელს რენცო ფურლანის იმედად არიან. საქმე ისაა, რომ იტალიელ ჩოგბურთელს 20 წელია, რაც ვერ მოუგია თავისი ქვეყნის ღია პირველობა.

წინა კვირაში იქვე საქმე მოითავეს ქალებმა. წლევანდელ ტურზე პირველად, რომში კი ზედიზედ მეოთხედ (!) გაიმარჯვა ესპანელმა კონჩიტა მარტინესმა (2), ვინაც ფინალში იოლად გაუსწორდა 15 წლის შვეიცარიელ ვუნდერკინდ მარტინა ჰინგისს (6) 6:2, 6:3.


15 წლის მარტინამ თვით გრაფი დაამარცხა

ნახევარფინალში მარტინესმა 6:4, 6:7, 6:2 მოუგო ხორვატ ივა მაიოლის (4), ჰინგისმა კი ქინულის თანხლებითა და ოთხსაათიანი პაუზით 6:2, 7:5 დაამარცხა რუმინელი ირინა სპირლეა (7).

ერთი ეტაპით ადრე, პარასკევს, ორი სენსაცია მოხდა. მომცრო იყო ის, რომ სპირლეამ 6:4, 6:3 გააგდო არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 3), უდიდესი კი ისა, რომ ჰინგისმა 2:6, 6:2, 6:3 დაამარცხა თვით შტეფი გრაფი (გერმანია, 1). შტეფი ფორმაში თავიდანვე ვერ იყო, ყოველ მომდევნო წრეში კი წინაზე უარესად თამაშობდა — აკი კიდეც გამოტყდა, ერთობ დავიღალე და განმარტოება და დასვენება მჭირდებაო. გრაფს ხომ ტიტული დასაცავი აქვს საფრანგეთის ღია პირველობაზე, „როლან გაროსზე" ორი კვირის თავზე, 27 მაისს რომ იწყება.

კვირას ვაჟთა ერთი შეჯიბრიც დასრულდა პაინ-ჰერსთში (ჩრდ. კაროლინა, აშშ). მას აშშ-ის სათიხნარო პირველობა ერქვა. გაიმარჯვა ბრაზილიელმა ფერნანდუ მელიგენიმ, ვინაც ფინალი 6:4, 6:2 მოუგო შვედ მათს ვილანდერს. ნახევარფინალში მელიგენიმ 2:6, 6:0, 6:4 აჯობა ავსტრალიელ ჯეისონ სტოლტენბერგს, ვილანდერმა 6:3, 6:3 — არგენტინელ ხავიერ ფრანას. მოკლედ, დიდი ვერაფერი შეჯიბრი ყოფილა.

ირაკლი ნინუა

## ძრავთა სამყარო

ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია ახსნა-განმარტებასა სთხოვს სან-მარინოს დიდი პრიზის ორგანიზატორებს. [illegible] ლიანებმა როგორ შეაღწია ტრასაზე.

საერთაშორისო ფედერაციამ გამოიკვლია არგენტინის დიდი პრიზის დროს ბრაზილიელი პედრო დინისის მანქანის აალება და დაადანაშაულა თავად გუნდი — „ლიჟიე", ვისაც საწვავის ჩასამატებელი მოწყობილობა მოუვლელი ჰქონია. დინისი იღბლად გადაურჩა ბოლიდში ამობუგვას, ფედერაციამ კი გააფრთხილა ყველა გუნდი, რომ თუ ამ მოწყობილობას წესისამებრ არ მიხედავს, დაისჯება.

კვირას დრამატულად დასრულდა მოტოციკლისტთა მსოფლიო პირველობის მორიგი, მეოთხე ეტაპი — ესპანეთის დიდი პრიზი, ხერესში რომ გათამაშდა. 500 კუბური სანტიმეტრის კლასში პოული ეჭირა „ჰონდათი" მრბოლ მსოფლიო ჩემპიონს, ავსტრალიელ მიკი დუენს, მაგრამ მას მესამე წრეზე გაუსწრო ესპანელმა თანაგუნდელმა ალექს კრივიემ, ვინაც კიდეც ლიდერობდა ბოლო, 27-ე წრის ბოლო მოსახვევამდე. აქ დუენმა ვირტუოზული მანევრით გაუსწრო მასპინძელს, ამან კი სამაგიეროს გადახდა სცადა და მოტოციკლი ჰაერში ამოუბრუნდა. დუენმა გაიმარჯვა და ჯამურ ჩათვლაში მეტად დაწინაურდა.

მსგავსი ამბავი მოხდა რალის მსოფლიო პირველობის მორიგ სტადიაზე, პირველად რომ გაიმართა ინდონეზიაში. სამდღიანი შეჯიბრის ბოლო დღის წინ შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონი, შოტლანდიელი ქოლინ მაკრეი („სუბარუ") სამნახევარ წუთს უგებდა ფინელ იუჰა კანკუნენს („ტოიოტა"), მაგრამ ქალაქ მადანგის მიდამოებში მანქანა საშინლად დაემტვრა, თუმცკი თავად არა დაშავებია რა. საბოლოოდ გაიმარჯვა „ფორდ-ესკორტით" მოასპარეზე ესპანელმა კარლოს საინსმა, ვისაც მეორე დღეს გზა აებნა და წუთზე მეტი დაკარგა.

დათო კირცხალია

## ათლეტებს იმონებენ ?!

Atlanta 1996

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (სოკ) ატლანტისათვის დააარსა საგანგებო არბიტრაჟი, რომელიც მოასპარეზეებს იქვე გაურჩევს ყველა სადაო საკითხს. მონაწილეებს წინდაწინ ხელს მოაწერინებენ დეკლარაციაზე, რომ თუ არა ამ არბიტრაჟს, სხვა ინსტანციას არ მიმართავენ. ამას ერთობ გაუგულისებია ცნობილ ათლეტთა აგენტები, ვითაც ოლიმპიადის ხელისუფალთა გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ალმაშფოთებელი დარღვევა შეუნიშნავთ. საქმე ისაა, რომ ბოლო წლებში სპორტსმენები სამოქალაქო სასამართლოებში ხშირად უჩივიან სპორტის მამებს, დავებს უგებენ და თავიანთ სიმართლეს ამტკიცებენ, სოკ-ი კი ოლიმპიური არბიტრაჟის გამწესებით ათლეტებს ფაქტობრივად მოაშთობს.

# საერთაშორისო რაგბი

## ნახევარფინალები ზღვისრეთში გაიმართება

დიდი ამბები დატრიალდა წრიული ტურნირის ბოლო ტურში.

**სიდნეის** საბურთაო სტადიონზე 21 ათასი ქომაგი მაინც მივიდა ახალი სამხრეთი უელსის „ვარათაზის" საქომაგოდ. მასპინძლებს პლეი-ოფში გასვლის თეორიული შანსიც დაეკარგათ, მაგრამ მაინც წაიბურთავეს და ლელოებით 7-3 დაამარცხეს ველინგთონის „გრიგალები". მარჯვენა გარემარბმა ალისთერ მერდოქმა სამი ლელო გაიტანა, ჯეისონ მედზმა 13), ვეტერანმა დევიდ ქემფიზიმ 11), მეთიუ ბერქმა 15) და რიჩარდ ჰარიმ 1) — თითო. ბერქმა თავის მონაგარს 4 გარდასახვა და 3 საჯარიმოც შემატა.

**სკანდალურად** დასრულდა ქეიფთაუნის მატჩი, სადაც „ნიულენდსზე" 55 ათასი კაცი დაესწრო სამხრეთი აფრიკის ორი უსახელოვნესი გუნდის — დას. კონცხისა და ჩრდ. ტრანსვაალის თამაშს. მასპინძლებს ალარაფრის შანსი ჰქონდათ, ტაიმი 0:16 წააგეს, მატჩის ბოლო წუთზე კი მეხუთე ლელოც რომ გაუშვეს, ხალხი მოედანს შეესია. ის იყო, პოლიციამ ხულიგნები ალაგმა და იანი კრუგერს 10) გარდასახვა უნდა დაერტყა, რომ მავანმა ვაი-ქომაგმა ნამიბიელი მსაჯი იოჰან მეევსენი ძირს დასცა. თამაში ჩაიშალა. სტუმარ „ლურჯ ხართაგან" ორ-ორი ლელო გაიტანეს თეო ფანრენსბურგმა (15) და ჰანეს ფენტერმა (11), ერთიც — კრაინაუ ოტომ (5).

ამ მოგებით პრეტორიის გუნდი პირველ ადგილზე გადავიდა — ერთი ქულით გაუსწრო ქვინზლენდსა და ოქლენდს, მაგრამ შაბათს ამ ორივემ გაიმარჯვა და ნახევარფინალის მასპინძლობის უფლებაც მოიპოვა. ქვინზლენდი თუ ფინალში გავა, ამ თამაშსაც შინ — „ბალიმორზე" გამართავს, რაკილა წრიული შეჯიბრი მოიგო.

**ტრანსვაალმა** იოჰანესბურგის „ელის პარკზე" შუა კვირაში უსიტყვოდ დაამარცხა ოქლენდი, ქვინზლენდთან კი თავად უშანსოდ დამარცხდა. მასპინძლები დაიბრიყვა ვერცხლისწყალივით მოძრავმა ბრეთ ჯონსთონმა 9), ვინაც შერკინების გვერდით შეტევებით ერთი ლელო თავად გაიტანა, მეორე კი კაპიტან თიმ ჰორანს 15) გაატანინა. სტუმართა პირველი ლელო ბენ თიუნმა (11) მე-10 წუთზე გაახერხა, ჯონ ილზმა (4) კი ორ-ორი გარდასახვა და საჯარიმო შეაგდო. ტრანსვაალის მარცხი იმით დამძიმდა, რომ ნაკრების კაპიტანი ფრანსუა პინარი (6) დაშავდა.

**დურბანის** „კინგზ პარკზე" ნატალ — ოქლენდის მატჩის ბოლო წამებამდე ფრე 23:23 იყო, მერე კი ზელანდიელმა ლიი სთენსნესმა ერონი ქლარქს (13) ლელოსკენ მარჯვედ გაუგორა ბურთი.

ჰენრი ჰონიბალის (10) ორი საჯარიმოთი თავიდან ნატალი 6:0 იგებდა. მე-20 წუთზე მასპინძლებმა თავის ლელოსთან შერკინება ჩააქციეს 6:7. მერე ჯონა ლომუს (11) აყლაპა აფრიკელმა ჯეიმზ სმოლმა (14) 13:7, ადრიან ქეშმორმა (15) კარის უკან გატანილი ლელოთი ისევ დააწინაურა ოქლენდი 14:13, მაგრამ საჯარიმო ლელოთი ზელანდიელებიც დაისაჯნენ — 20:14 ნატალის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში ჰონიბალმა და ქეშმორმა თითო გოლი გაიტანეს 23:17, მერე კი, თამაშის დამთავრებას ათი წუთი რომ უკლდა, ზელანდიელმა კიდევ ორი საჯარიმოთი ანგარიში გააყაიმა.

როიტერს-ის მიხედვით

### ზე-12-ის პირველობა

10 მაისი

დას. კონცხი 7:35 ჩრდ. ტრანსვაალი
ახ. სამხრ. უელსი 52:25 ველინგთონი

11 მაისი

ტრანსვაალი 16:25 ქვინზლენდი
ნატალი 23:30 ოქლენდი

12 მაისი

კანბერა 70:26 ოთაგო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ქვინზლენდი (ავ) | 11 | 9 | 0 | 2 | 320:247 | 41 |
| ოქლენდი (ზ) | 11 | 8 | 0 | 3 | 408:354 | 41 |
| ჩრდ. ტრანს (აფ) | 11 | 8 | 0 | 3 | 329:208 | 38 |
| ნატალი (აფ) | 11 | 6 | 0 | 5 | 389:277 | 33 |
| კანბერა (ავ) | 11 | 7 | 0 | 4 | 306:273 | 32 |
| ვაიქათო (ზ) | 11 | 6 | 0 | 5 | 291:269 | 28 |
| ახ. სამხრ. უელ (ავ) | 11 | 5 | 0 | 6 | 312:290 | 28 |
| ოთაგო (ზ) | 11 | 5 | 0 | 6 | 332:391 | 26 |
| ველინგთონი (ზ) | 11 | 3 | 0 | 8 | 290:356 | 17 |
| ტრანსვაალი (აფ) | 11 | 3 | 0 | 8 | 233:299 | 16 |
| დას. კონცხი (აფ) | 11 | 3 | 1 | 7 | 251:353 | 15 |
| ქენთებრი (ზ) | 11 | 2 | 1 | 8 | 234:378 | 13 |

შენიშვნა: მოგება — 4 ქულა, ფრე — 2 ქულა, არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანდა მეოთხე ლელოს გატანა — თითო პრემიალური ქულა. მოწინავე ოთხეული გავიდა პლეი-ოფში

ნახევარფინალები

18. V: ქვინზლენდი — ნატალი
19. V: ოქლენდი — ჩრდ. ტრანსვაალი

ფინალი: 25 ან 26. V


მარტინ ოფაიერი ლიგაში რაგბიდან სულ ჭეელი წავიდა

## ვაი, სირცხვილო!

ბრიტანული ლიგის რაგბის ბუმბერაზმა „ვიგანმა" ოთხშაბათს „მეინ როუდზე" ქვეყნის საუკეთესო რაგბის გუნდი „ბასი" ცამეტკაციან თამაშში 82:6 რომ დაანგრია, რაგბის სამყარომ კბილები აილესა, რაგბს რომ გვეთამაშებიან ლიგელები, მაშინ დავაყრით შავ დღესო.

ეს დღე მართლაც დადგა, ოღონდ კვლავ „ვიგანმა" გაიმარჯვა, თუმც მხოლოდ შვიდკაცაში და ისიც ყოფილი მორაგბეების — ზანგი მარტინ ოფაიერის, ზელანდიელი მაორი ვაინგა თუიგამალასა და უელსელი სქოთ ქვინელის შემწეობით.

ამათ გადასარევად იბურთავეს მიდლსექსის შვიდკაცაზე, 1926 წლიდან რომ თამაშდება, შაბათს თვიქნემში რომ გაიმართა და რომელშიც 15 და 13-კაცა თამაშთა შერიგების წყალობით წელს პირველად მონაწილეობდა ლიგის გუნდი. „ვიგანმა" ზედიზედ დაამარცხა „რიჩმონდი" (ვისაც ივნისიდან მიჰყიდა ქვინელი), „ჰარლიქვინზი" და „ლესთერი", ფინალში კი თუმც 0:15 აგებდა „ვოსფსთან", მერე ექვსი ლელო გაუტანა და 36:15 მოუგო. ოფაიერი, ვინაც ოთხშაბათს 6-ჯერ ისახელა თავი, ამჯერად ორ ლელოს დასჯერდა, შერცხვენილმა „ბასმა" კი მოთამაშეთა ტრავმები და მოუცლელობა მოიმიზეზა და არც უასპარეზია.

ახლა მორაგბეები 25 მაისის შოუს იმედადღა არიან, როცა იმავე თვიქნემში „ვიგანი" ისევ „ბასს" ეთამაშება, ოღონდაც უკვე რაგბის წესებით. რაგბის სამყარო რევანშს ელის და თავს იმით ინუგეშებს, რომ შვიდკაცაში მთავარი სიმარდე და ჯანია, რაგბისთვის სპეციფიური და ლიგისთვის უცხო დერეფანი, მოლი, რაქი და თვით შერკინებაც კი ეპიზოდურია.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29